

# წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

**IDFI**

ინფორმირებული და ძლიერი  
საზოგადოება დემოკრატიული  
მმართველობისთვის

2021

## სარჩევი

შესავალი	3
კარგი მმართველობის მხარდაჭერა საქართველოში	4
ღია მმართველობის კარტნიორობის მხარდაჭერა საქართველოში	14
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა	19
ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა	26
მედია და გამომხატვის თავისუფლება	29
კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები	33
ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერა	43
ინტერნეტი და ინოვაციები	48
მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები	54
IDFI-ის დონორი ორგანიზაციები	61
2021 წელს დაწყებული პროექტები	62
2021 წლის ფინანსური ანგარიში	66

# შესავალი

2021 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ აქტიურად მუშაობდა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მედიისა და გამოსატვის თავისუფლების, კარგი მმართველობის, კორუფციასთან ბრძოლის, ადგილობრივი მმართველობის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულებებით.

ინფორმაციაზე წვდომა, ანალიტიკური საქმიანობის განვითარებითა და ინოვაციური მექანიზმების გამოყენებით, მმართველობის გაუმჯობესება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა, კორუფციის შემცირება, მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება, ანგარიშვალდებულების ამოქმედება, ინკლუზიური ზრდის წახალისება იყო IDFI-ის 2021 წლის ძირითადი სამოქმედო მიმართულებები.

2021 წელსაც, IDFI მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის, მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით ცდილობდა ხელი შეეწყო საქართველოში დემოკრატიული მართველობის გაძლიერებისთვის.

2021 წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა კორონავირუსის პანდემია გახდა, რომელმაც საზოგადოება ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ამ გამოწვევების საპასუხოდ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი სწავლობდა ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებს და აკვირდებოდა კოვიდ-19-თან დაკავშირებულ რეგულაციებსა და სახელმწიფო ხარჯებს.

2021 წელს IDFI-მ მოამზადა და გამართა:



- 4 პოლიტიკის დოკუმენტი
- 54 კვლევის დოკუმენტი
- 9 ვიზუალიზაცია



- 2 საერთაშორისო კონფერენცია
- 12 ტრენინგი და ლექცია
- 29 დისკუსია/კრეზენდაცია



2021 წელს IDFI-მ დაიწყო 18 ახალი პროექტი



IDFI-ის თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 26-მდე



## კარგი მმართველობის მხარდაჭერა საქართველოში

2021 წელს, IDFI აქტიურად განაგრძობდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს, მართავდა სამუშაო შეხვედრებს, შესაბამის დაწესებულებებსა და დაინტერესებულ მხარეებს აწვდიდა რეკომენდაციებს. ასევე, ღია მონაცემების გამოყენების წასახალისებლად, IDFI აცხადებდა კონკურსებს და ცდილობდა ამ კუთხით სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას.

### კარგი მმართველობის ფორუმი 2021 - #GGFORUM2021

**IDFI** Institute for Development of Freedom of Information

Supported by **Luminare** Building stronger societies

**GG**

**GOOD GOVERNANCE FORUM 2021**

**SUSTAINABLE GOVERNANCE OF NATURAL RESOURCES:**  
The Role of Transparency,  
Lessons Learnt and Future Plans

**#GGFORUM2021**

**December 6, 2021** **Online Conference**

2021 წელს, IDFI-მ კარგი მმართველობისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე რიგით მესამე საერთაშორისო კონფერენცია, სახელწოდებით „კარგი მმართველობის ფორუმი“ (GGForum) გამართა. ღონისძიება 2021 წლის 6 დეკემბერს, კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ონლაინ ფორმატში ჩატარდა. [კონფერენციის მიზანს](#) ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივისა (EITI) და „გამოაქვეყნე რასაც იხდი“ (PWYP) ქსელის ირგვლივ საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისა და დებატების წახალისების გზით, დემოკრატიული მმართველობის რეფორმების ხელშეწყობა წარმოადგენდა. ღონისძიებაზე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით გაიმართა

დისკუსიები შემდეგ საკითხებზე:

- ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა;
- კარგი მმართველობის პრინციპები ენერჯეტიკის სექტორში;
- საქართველოს პერსპექტივები ბენეფიციარი მესაკუთრეებისა და მოპოვებითი მრეწველობის პრინციპების დანერგვის კონტექსტში;
- ქალთა ხმების გაძლიერება.

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს ამ საკითხებზე მომუშავე წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის, ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP), მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI), გამოაქვეყნე რასაც იხდი (PWYP), საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI), ენერჯეტიკული გამჭვირვალობის ასოციაცია, ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუტი და ა.შ. კონფერენციის პანელებთან და მომხსენებლებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფორუმის [დღის წესრიგი](#).

### კარგი მმართველობის ფორუმი 2021 რიცხვები




**+100**

მონაწილე



**15**

მომხსენებელი



**23**

ქვეყანა



**4**

სახლი

IDFI-მ ფორუმი გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის, Luminate-ის მხარდაჭერით ჩაატარა.



## საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

Sida-ს ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ განაგრძო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყოველწლიური მონიტორინგი, რომელსაც ორგანიზაცია 2010 წლიდან უწყვეტად ახორციელებს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ 2020 წლის მონიტორინგის შედეგები IDFI-მ 2021 წლის პირველ ივნისს [წარადგინა](#), რომელიც 285 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილ 6,258 მოთხოვნის წერილს დაეყრდნო. 2019 წელთან შედარებით, საჯარო სექტორის გამჭვირვალობის ხარისხი 3%-ით (83%-დან 80%-მდე) შემცირდა, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს Covid-19-თან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და გამოწვევებს. ამავე დროს, კვლავ შენარჩუნებულია 2014 წლის შემდეგ დამკვიდრებული 80%-იანი კრიტიკული ზღვარი, **რაც უმეტესწილად, ცალკეული საჯარო დაწესებულებების მაღალი ანგარიშვალდებულებით არის განპირობებული.**

- სრულყოფილი პასუხი – 58%
- უპასუხო - 28%
- არასრულყოფილი – 13%
- უარი - 1%
- 10 დღიანი ვადის დაცვა - 51%

**IDFI-მ ჯამში 26 საჯარო დაწესებულება დააკვირდა, მათ შორის:**

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
- სახალხო დამცველის აპარატი
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- კონკურენციის ეროვნული სააგენტო


IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად კვლავ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა დასახელდა.

ძირითადი მიგნებების, გამოწვევებისა და რეკომენდაციების უკეთ გადმოსაცემად მომზადდა [საინფორმაციო ვიდეო](#), რომელიც ფართოდ გავრცელდა სოციალურ მედიაში.

მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, IDFI-მ მოახდინა საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისთვის განსახილველად წარდგენილი ე.წ. “10 დეკემბრის” ანგარიშების (კა-


ნონმდებლობით გათვალისწინებული) [შედარება](#). ექვსი ძირითადი განსხვავებული ტიპის შეუსაბამობა დაფიქსირდა 60 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში. შენიშვნები და მოსაზრებები დეტალური სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

გარდა ამისა, 2021 წელს, IDFI-მ საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგიც განახორციელა. **123 საჯარო დაწესებულების მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 56%-ია, რაც 1%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**



## ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის ადვოკატირება და მხარდაჭერა

### საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია - DataLab.Ge



მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, IDFI განაგრძობდა ღია მონაცემების საკითხებზე მუშაობას, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ღია ფორმატში შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების კუთხით. კერძოდ, ინსტიტუტის მიერ შექმნილ ღია მონაცემების პლატფორმაზე - DataLab.Ge გამოქვეყნდა დამატებითი მონაცემთა ბაზები. 2021 წლის ბოლოს პორტალზე 1,400-მდე მონაცემთა ბაზა იყო ხელმისაწვდომი.

პლატფორმაზე მონაცემები ხელმისაწვდომია ღია, ელექტრონულად წაკითხვად ფორმატში (ექსელი და CSV). ვებ-გვერდის მომხმარებელს შეუძლია:

- გაანალიზოს და დაამუშავოს მისთვის სასურველი ინფორმაცია;
- მოახდინოს მონაცემების მარტივი ვიზუალიზაცია;
- გადმოწეროს მონაცემები ღია ფორმატში;
- გააზიაროს მონაცემები სოციალურ ქსელებსა და ვებგვერდებზე;
- შექმნას ახალი აპლიკაციები.

## სასამართლო სტატისტიკის მოდული

ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, 2021 წლის 27 სექტემბერს, Sida-ს მხარდაჭერით IDFI-მ [წარადგინა](#) სასამართლო სტატისტიკის განახლებული მოდული. გარდა პრეზენტაციისა (რომელიც ჩატარდა [ფეისბუქის პირდაპირი ტრანსლაციის](#) საშუალებით), მოდული ფართოდ გავრცელდა [სოციალურ მედიაში](#). 2021 წელს აიტვირთა და განახლდა 80-მდე მონაცემთა ბაზა. დაინტერესებულ პირებს მოცემული პროგრამის საშუალებით შეუძლიათ გაეცნონ სასამართლო პრაქტიკის ტენდენციებს 2010-2020 წლებში. მათ შორისაა: სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა, ალკვების ღონისძიების **გამოყენება**, ადმინისტრაციული დავების შედეგები, ფარული მიყურადების შუამდგომლობები, ოჯახში ძალადობის შემთხვევები და ა.შ.





## კონკურსი - მონაცემები ცვლილებებისთვის (#DATA4CHANGE)



ხელისუფლების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და საჯარო მონაცემების გამოყენების წახალისების მიზნით, IDFI-მ [ანალიტიკური სტატიების კონკურსის - „მონაცემები ცვლილებებისთვის“](#) - მესამე სერია გამართა. ორგანიზაციამ ჯამში 31 საკონკურსო ნაშრომი მიიღო. სტატიები [WWW.DATALAB.GE](http://WWW.DATALAB.GE)-ზე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზების, ასევე კონკურსის მონაწილეების მიერ საჯარო დანესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა. კონკურსანტთა უმეტესობა აქცენტს ისეთ საკითხებზე აკეთებდა, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, Covid-19-თან დაკავშირებული გამონვევები და სახელმწიფო ხარჯები, ჰაერის დაბინძურება, სიღარიბე, სხვადასხვა ეკონომიკური საკითხები და ა.შ. 2021 წლის 24 ნოემბერს, [შემაჯამებელ პრეზენტაციაზე](#), IDFI-მ კონკურსის ხუთი გამარჯვებული დააჯილდოვა.


## IDFI - მონაცემების გლობალური ბარომეტრის (GDB) რეგიონალური ჰაბი

IDFI [მონაცემების გლობალური ბარომეტრის \(GDB\)](#) ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის [რეგიონალური ჰაბი](#) გახდა. GDB წარმოადგენს მონაცემების გლობალური ინდექსის კვლევას, რომელიც ეხება საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მონაცემების მნიშვნელობას და ეფუძნება [ღია მონაცემების ბარომეტრს](#). გლობალური ინიციატივის ფარგლებში, IDFI აფასებს საქართველოს შედეგებს და პასუხისმგებელია დამატებით 11 ქვეყნის შეფასების კოორდინაციაზე, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან 11 დამოუკიდებელი ეროვნული მკვლევრის შერჩევას გულისხმობს. გარდა ამისა, 2021 წლის 11 ივნისს, მონაცემთა გლობალური ბარომეტრის წარმომადგენლებთან ერთად, IDFI-მ აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ეროვნული მკვლევრებისთვის სპეციალური [ტრენინგი გამართა](#). ამის შემდგომ, მკვლევრებმა მოახდინეს ქვეყნების შეფასება, რასაც მოჰყვა შეფასებლების მიერ შედეგების გადახედვა. საბოლოო შედეგების დამტკიცების შემდგომ IDFI-მ მოამზადა რეგიონული შედეგების მიმოხილვა, ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები. გლობალური რეიტინგი [2022 წელს გამოქვეყნდება](#).



# Global Data Barometer

## საქართველოს შედეგები საერთაშორისო რეიტინგებში



საქართველოში ღია მონაცემებზე წვდომის კუთხით არსებული გამომწვევებისა და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით, IDFI-მ, გლობალური და რეგიონული ტენდენციების გათვალისწინებით, ღია მონაცემების მზარდობის (Open Data Maturity) ანგარიშში მოცემული შედეგები [გაანალიზა](#). ყოველწლიურ შეფასებას ევროპული მონაცემების პორტალი უზრუნველყოფს. ღია მონაცემების მზარდობის კვლევის მიერ შეფასებული 35 ქვეყნიდან, საქართველო ბოლოს წინა ადგილს იკავებს. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს ესაჭიროება ღია მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეროვნული სტრატეგიის შემუშავება/მიღება.

## ბენეფიციარი საკუთრების (BO) გამჭვირვალობის სტანდარტების შესწავლა და დანერგვა

2021 წლის იანვარში, ბენეფიციარ მესაკუთრეთა სტანდარტებზე IDFI-მ [პირველი კვლევა](#) გამოაქვეყნა, რომელშიც გაანალიზებულია ბენეფიციარი საკუთრების ცნება და სტრუქტურა, იდენტიფიცირებულია ბენეფიციარ მესაკუთრებთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები. გარდა ამისა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კვლევაში აღწერილია გამომწვევების აღმოფხვრისათვის საჭირო ნაბიჯები.

დაინტერესებული მხარეებისთვის კვლევის შედეგების/რეკომენდაციების უკეთ გაცნობისა და საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლების მიზნით, IDFI-მ, 2021 წლის 28 იანვარს [სამუშაო შეხვედრა](#) ონლაინ რეჟიმში გამართა. შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, ბიზნესისა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გაიმართა. სამუშაო შეხვედრაზე ბენეფიციარ მესაკუთრეთა სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ ორმა ბრიტანელმა ექსპერტმა ისაუბრა.

მოგვიანებით, ცენტრალური ევროპის ოთხ ქვეყანაში - პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა - მოღვაწე პარტნიორ ორგანი-



ზაციებთან თანამშრომლობით, IDFI-მ მოამზადა რეგიონული კვლევა, სახელწოდებით „ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში“. კვლევაში მიმოხილულია კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობის პრაქტიკა და ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ბაზა. პოლიტიკის ზოგადი რეკომენდაციები თითოეული ქვეყნის შემთხვევაში, საქართველოს ჩათვლით, რაც ვიშეგრადის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას დაეყრდნო. აღნიშნული რეკომენდაციების გაცნობის მიზნით, 2021 წლის 24 ნოემბერს, ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეგიონული კვლევის პრეზენტაცია გაიმართა.



შეიქმნა პრაქტიკული სახელმძღვანელო სახელწოდებით ბენეფიციარ მესაკუთრეთა მონიტორინგის გზამკვლევი, რომელიც ბენეფიციარ მესაკუთრეთა მონაცემების ეფექტურად გამოყენების კუთხით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების შესაძლებლობების განვითარებას ისახავდა მიზნად. გზამკვლევი ფართოდ გავრცელდა ყველა დაინტერესებულ პირს შორის. გარდა ზემოხსენებულისა, სახელმძღვანელოს ორიენტირს ბენეფიციარი მესაკუთრის ცნების, გამჭვირვალობის სტანდარტების და იმ ძირითადი პრაქტიკული რჩევების ჟურნალისტებისთვის, სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფებისთვის, მკვლევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის გაზიარება წარმოადგენდა, რომლებიც მათ ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენასა და მათ უკან მდგომი კომპანიების საქმიანობის მონიტორინგში დაეხმარებათ.

სახელმძღვანელო გამოყენებულ იქნა შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული ტრენინგების მიმდინარეობისას, სადაც IDFI-მ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებსა და აქტივისტებს ის პრაქტიკული რჩევები გაუზიარა, რაც მათ ბენეფიციარ მესაკუთრეთა კონტექსტში ზედამხედველობითი უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარებათ. IDFI-მ ჯამში ორი ტრენინგი გამართა 2021 წლის 15 ოქტომბერს და 14 ნოემბერს.



ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ასევე მომზადდა გრაფიკული ვიდეო, რომელიც შემდგომ სოციალურ მედიაშიც გავრცელდა.

## საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა



IDFI განაგრძობს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ხელშეწყობას. რეფორმის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, IDFI-მ განაგრძო საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ორგანიზაციამ შეიმუშავა, გამოაქვეყნა და საზოგადოებას წარუდგინა 2020 წლის [მეორე ნახევრისა](#) და [2019-2020 წლების ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშის](#) შედეგები. მონიტორინგის ფარგლებში

იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და გამოწვევების აღმოსაფხვრელად IDFI-მ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში დახმარების მიზნით წარუდგინა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნოს. IDFI-ის მიერ მომზადებულ PAR-ის ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშებში გამოვლენილი ხარვეზები და მათ საპასუხოდ შემუშავებული რეკომენდაციების ნაწილი გაიზიარა მთავრობის ადმინისტრაციამ, რომელმაც PAR-ის მომდევნო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების პირობა დადო. თუმცა, 2021 წლის ბოლოს, საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიული დოკუმენტები ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული.

საჯარო მმართველობის რეფორმის ყველაზე პრობლემური საკითხების გამოსავლენად IDFI-მ გამოიყენა საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის ელექტრონული [პლატფორმა](#) (PAR Tracker), რომელიც მონიტორინგის პროცესში გარე მომხმარებლის ჩართულობას უზრუნველყოფს. 2021 წლის განმავლობაში, პლატფორმის მეშვეობით, მონიტორინგის პროცესში 15 რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო. იდენტიფიცირებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით IDFI-მ შეისწავლა საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო ევროპული პრაქტიკა, რის საფუძველზეც მოამზადა [კვლევა](#) - „საჯარო მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო“. ორგანიზაციამ კვლევის მიგნებები განსახილველად საზოგადოებას [წარუდგინა](#). ამასთან, კვლევა რეკომენდაციებთან ერთად გაუზიარა PAR-ის საბჭოს სამდივნოს ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას მათი განხილვის მიზნით.





IDFI-მ გამოაქვეყნა [განცხადება](#) OECD-SIGMA-ს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით; [განცხადება](#) საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიული დოკუმენტების დაგვიანებასთან დაკავშირებით; საჯარო მმართველობის რეფორმის სამთავრობო და ალტერნატიული მონიტორინგის [მიგნებები](#); და მოუწოდა ხელისუფლებას, მეტი ყურადღება დაეთმო ქვეყანაში საჯარო მმართველობის რეფორმისათვის და დროულად შეემუშავებინა ამბიციური, ქმედითი პოლიტიკის დოკუმენტები.

ორგანიზაცია მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. IDFI-მ გამოაქვეყნა საინფორმაციო ვიდეოები, გამართა ანალიტიკური [სტატიების კონკურსი](#), საჯარო მოსამსახურეებისთვის ჩაატარა გასვლითი [სემინარი](#).





# ღია მმართველობის პარტნიორობის მხარდაჭერა საქართველოში



2021 წელს, IDFI აქტიურად იყო წარმოდგენილი ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP) ადგილობრივ, რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წარმომადგენლების ჩართულობით, IDFI სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად ადვოკატირებას უწევდა ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას. უფრო მეტიც, IDFI აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს პარლამენტს 2021-2022 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2020-2021 წლების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

2021 წელს, IDFI აქტიურად იყო წარმოდგენილი ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP) ადგილობრივ, რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წარმომადგენლების ჩართულობით, IDFI სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად ადვოკატირებას უწევდა ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას. უფრო მეტიც, IDFI აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს პარლამენტს 2021-2022 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2020-2021 წლების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

## ეროვნული დონე

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ ღია მმართველობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პასიური პოლიტიკა 2021 წელს კვლავ შენარჩუნდა/გაგრძელდა. IDFI-მ, როგორც ინდივიდუალურად, ისე სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეებისთვის, რამდენიმე განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს პასიურობას გაუსვა ხაზი. 2020 წლის დასაწყისში, ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ, ახალი სამოქმედო გეგმისთვის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან ახალი ვალდებულებების შეგროვება დაიწყო. თუმცა, პროცესი შეფერხებით გაგრძელდა, საბოლოოდ კი, ვალდებულებების გაგზავნითა და სახელმწიფო უწყებების მხრიდან უკუკავშირის მიღებით დასრულდა. 2021 წელს, სამდივნომ, სამოქალაქო საზოგადოებისგან ვალდებულებების შეგროვების ანალოგიური პროცესი დაიწყო, თუმცა, მდგომარეობა არც აღნიშნულის შემდგომ შეცვლილა; ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განვითარების თვალსაზრისით სამდივნოს და სახელმწიფო უწყებების მხრიდან ეფექტური ნაბიჯები არ გადადგმულა. 2021 წლის დეკემბერში, ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა [გამოაქვეყნეს განცხადება](#) და მოუწოდეს საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ განეახლებინა ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

2021 წლის 5-9 ივლისს, IDFI-მ ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ყაზახეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი) მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს [უმასპინძლა](#). ვიზიტის მიზანს დაინტერესებული პირებისათვის საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის, ღია ბიუჯეტებისა და OGP-ის მიმართულებით საქართველოს გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.



## ღია პარლამენტი

IDFI აქტიურად იყო ჩართული 2021-2022 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია შემუშავდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრ საკონსულტაციო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე.

26 ივლისს, წელიწადნახევრიანი აქტიური სამუშაო პროცესის, შეხვედრებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა [ღია პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა](#). სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების უმრავლესობა ინიცირებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ.





საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა შედგება 19 ვალდებულებისგან, რომელთა განხორციელებაც 2021-2022 წლებისთვის იგეგმება. სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობას, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და საქართველოს პარლამენტის ზედამხედველობითი მექანიზმების გაუმჯობესებას, საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას და საპარლამენტო ღიაობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობას.



IDFI-სა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციების ჩართულობასთან ერთად, საპარლამენტო საბჭომ დაიწყო ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს საპარლამენტო საბჭოს მიერ ვალდებულების - „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის პარლამენტის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება“ - პირველი და მეორე ნაწილის განხორციელება.

IDFI აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს პარლამენტის ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს. IDFI-მ შეიმუშავა და დაბეჭდა საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გზამკვლევი, რომელიც აღწერს საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის მექანიზმებს.



**მოქალაქეთა გზამკვლევი**  
როგორ მივიღოთ მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში







2021 წლის მანძილზე IDFI აქტიურად უჭერდა მხარს აჭარის უმაღლეს საბჭოს 2020-2021 წლების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. IDFI მონაწილეობას იღებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების მომზადების პროცესში.

26 თებერვალს, IDFI-მ მონაწილეობა მიიღო UNDP-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრებისთვის ღია მმართველობის პრინციპებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. 12 მარტს ჩატარდა ღია მმართველობის საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი შეხვედრა. შეხვედრისას, UNDP-ისა და IDFI-ს წარმომადგენლებმა, საბჭოს წევრებს, ის ვალდებულებები და აქტივობები გააცნეს, რომელთა განხორციელებასაც სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა.

2021 წელს, IDFI-მ დაიქირავა ა(ა)იპ „მარიანი“, რომელმაც მოამზადა აჭარის უმაღლესი საბჭოს შშმ პირთა საჭიროებებზე [შენობის ადაპტირების გეგმა](#). აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით, აჭარის უმაღლესი საბჭო გეგმავს შენობის ადაპტირების გეგმის შესყიდვას.

IDFI-მ განავითარა კონცეფცია უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტირების შესახებ. აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით, შპს-მ „არტმედია“ განახორციელა უმაღლესი საბჭოს [ვებგვერდის ადაპტირება](#). ვებგვერდის ადაპტირებით შესრულდა სამოქმედო გეგმის მე-6 ვალდებულება.

IDFI-ს კოორდინაციით და ჩართულობით, შპს „არტმედია“ აჭარის უმაღლესი საბჭოსთვის ავითარებს მოქალაქეთა ჩართულობის ვებგვერდს [chaerte.sca.ge](http://chaerte.sca.ge). აჭარის უმაღლესი საბჭოს ძირითადი სერვისების შესახებ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა - პეტციის ელექტრონულად წარდგენა, შეხვედრის დაჯავშნა უმაღლესი საბჭოს წევრთან ან საშვის ელექტრონულად აღება კომიტეტებისა და საბჭოს პლენარულ შეხვედრებზე დასასწრებად - გამოქვეყნდება სწორედ ხსენებულ ვებგვერდზე.

## საერთაშორისო დონა

2021 წლის განმავლობაში, IDFI-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრაში. IDFI-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა, [წარადგინა მოხსენება](#) ღია პარლამენტის ფორუმზე დეზინფორმაციასთან ბრძოლაში პარლამენტის როლთან დაკავშირებით. კერძოდ, გიორგი კლდიაშვილმა, რუსულ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლაში საქართველოს პარლამენტის როლს გაუსვა ხაზი.



[2021 წლის 15-17 დეკემბერს](#), ღია მმართველობის პარტნიორობის მე-7 გლობალურ სამიტზე, IDFI-მ ორგანიზება გაუწია ექსპერტების პანელს საჯარო შესყიდვების თემატიკასთან დაკავშირებით. პანელის მიმდინარეობისას IDFI-ს წარმომადგენლებმა განიხილეს TPPR და მისი როლი მსოფლიო მასშტაბით საჯარო შესყიდვების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით. [გლობალური სამიტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით პოსტ-პანდემიურ ეპოქაში, როდესაც მსოფლიო უნდა შეეგუოს ახალ რეალობას და დანერგოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ახალი სტანდარტები.](#)





## კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა

IDFI განაგრძობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას. ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში. 2021 წლის დასაწყისში IDFI-მ ანტიკორუფციული სტრატეგიისა და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 16-ვე მიმართულებისთვის თავისი რეკომენდაციები წარუდგინა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს. სხვადასხვა განცხადების ფარგლებში IDFI ასევე აქტიურად მოუწოდებდა ხელისუფლებას, მეტი ყურადღება დაეთმო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და დროულად შეემუშავებინა უფრო ამბიციური, ეფექტიანი პოლიტიკის დოკუმენტები. თუმცა, 2021 წლის ბოლოს, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია არ იყო განახლებული და არც ახალი, 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა იყო შემუშავებული.

IDFI აკვირდება კორუფციასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებას, აანალიზებს და პერიოდულად აქვეყნებს მათ შედეგებს. 2021 წელს საქართველო რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში მოხვდა. მათი უმეტესობა მიუთითებს ქვეყანაში ანტიკორუფციული საქმიანობის სტაგნაციაზე.

ანტიკორუფციული სისტემის ხარვეზებისა და მაღალი დონის კორუფციის მიმართულებით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, 2021 წლის განმავლობაში IDFI განაგრძობდა ისეთი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის ადვოკატირებას, რომელსაც ექნება საზოგადოების ნდობა, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია იმისათვის, რომ გამოიძიოს მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები და პასუხი გასცეს საზოგადოებაში არსებულ ლეგიტიმურ შეკითხვებს.

2021 წლის განმავლობაში IDFI-მ გამოაქვეყნა სხვადასხვა ანალიზი, კერძოდ: საქართველოს ანტიკორუფციული მარჯვენებლები 2021 წელს; კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების პროგრესი კვლავ ძალიან დაბალია; პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები წინასაარჩევნოდ კვლავ პრობლემურია.

IDFI-მ განახორციელა საქართველოში მხილების მექანიზმის პრაქტიკისა და კანონმდებლობის სიღრმისეული კვლევა - არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა მხილების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების, კანონმდებლობის, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი, ისევე, როგორც საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკითხვა. იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ IDFI-მ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ორგანიზაცია მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს ანტიკორუფციული მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისთვის, რაც, მათ შორის, საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელებაში გამოიხატება. 2021 წელს IDFI-მ სტუდენტებისთვის გამართა ფილმის ჩვენება და დისკუსია. ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელმა ჩაატარა საჯარო ლექცია მხილების მექანიზმთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში „ადგილობრივი თვითმმართველობა: კორუფციასთან ბრძოლის წინა ხაზი“, რომელსაც USAID GGI-მ უმასპინძლა.



IDFI-მ OECD/ACN-ს წარუდგინა ანგარიში საქართველოში ანტიკორუფციული მდგომარეობის შესახებ და შეხვდა OECD/ACN-ის მისიას მათ კითხვებზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზაციამ 2021 წლის 26 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო OECD/ACN-ის 21-ე პლენარულ სხდომაში, რომელზეც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ყურადღება გამახვილა მაღალი დონის კორუფციაზე.

## კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგი

ევროკავშირისა და Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ 2021 წელს გააგრძელა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგი. მომზადდა ხუთი ანგარიში, რომელთა საფუძველზეც გამოვლინდა 47-მდე პოტენციური დარღვევა/კორუფციული რისკი (მათ შორის სულ მცირე 12 მუნიციპალიტეტში) და შემუშავდა 6 რეკომენდაცია. ანგარიშები მოიცავდა:



- I. კორონავირუსთან დაკავშირებული გამარტივებული შესყიდვები;
- II. საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი - საბოლოო ანგარიში;
- III. საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი;
- IV. Covid-19-ის პერიოდში განხორციელებული საეჭვო შესყიდვები;
- V. Covid-19-თან დაკავშირებული გამარტივებული შესყიდვები 2021.

პოლიტიკის რეკომენდაციების შემდგომი კომუნიკაციისა და ადვოკატირების მიზნით, გაიმართა განხილვები, საჯარო დისკუსიები და პრეზენტაციები. 2021 წლის 18 ივნისს ჩატარდა საჯარო დისკუსია, რომლის ფარგლებშიც შედიის, არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა კოვიდ-19 პანდემიისას საჯარო ინფორმაციაზე წვდომის გამოწვევებთან დაკავშირებით ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. 2021 წლის 6 ივლისს IDFI-მ წარადგინა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგის საბოლოო შედეგები, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით, ამასთან პრეზენტაციის ფარგლებში კიდევ ერთხელ გაჟღერდა შესაბამისი რეკომენდაციები.





2021 წლის მანძილზე ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის, ევროკავშირისა და Luminate-ის მხარდაჭერილი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, IDFI აქტიურად ახორციელებდა საჯარო უწყებების ხარჯების მონიტორინგს. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორებიცაა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი, სახელმწიფო უწყებების მუშაობის შეფასება პანდემიასთან ბრძოლაში, საარჩევნო პერიოდში ბიუჯეტის ცვლილებების ანალიზი, სახელმწიფო საწარმოების, დანესებულებებისა და სპორტული ფედერაციების ხარჯების მონიტორინგი, და ა.შ. ჯამურად მომზადდა და გამოქვეყნდა 14 ანალიზი და ანგარიში, რომელთა მიგნებების შემდგომი კომუნიკაციისათვის შეიქმნა და აქტიურად გავრცელდა მოკლე მიმოხილვები, ვიზუალიზაციები და ვიდეოები. ანგარიშები მოიცავდა:

1. [COVID-19-ით გარდაცვლილთა შეზღუდული და ურთიერთგამომრიცხავი სტატისტიკა](#)
2. [პოლიტიკური შემოწირულებები - 2021](#)
3. [სსიპ-ებსა და დამოუკიდებელ უწყებებში 2020 წელს გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები](#)
4. [სახელმწიფო კომპანიების საკადრო და სახელფასო პოლიტიკის გამომწვევები](#)
5. [რატომ არ არის სახელმწიფო ავტოპარკში ელექტროავტომობილები?](#)
6. [საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი - საბოლოო ანგარიში](#)
7. [საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი](#)
8. [2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი](#)
9. [სოციალურად დაუცველთა სტატისტიკა და არჩევნები 2019-2021](#)
10. [საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯვა პანდემიის დროს](#)
11. [ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა საქართველოში](#)
12. [წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში](#)
13. [კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით გაგზავნილი სადეპუტატო კითხვების მიმოხილვა](#)
14. [პანდემიის გავლენა დანაშაულის სტატისტიკაზე](#)
15. [სპორტული ფედერაციების 2019-2020 ხარჯების ანალიზი](#)

## კორუფციასთან ბრძოლის საგანმანათლებლო პროგრამა

2021 წელს კორუფციასთან ბრძოლის საგანმანათლებლო კურსების მდგრადობის გაზრდის მიზნით, IDFI-მ აქტიურად იმუშავა იმისათვის, რომ განეხილათ და შეეთავაზებინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ორი სასწავლო კურსი ბაკალავრიატის და ორი სასწავლო კურსი მაგისტრატურის საფეხურზე. კორუფციასთან ბრძოლის სასწავლო კურსები გახდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური კურიკულუმის ნაწილი და წარმატებული კურსდამთავრებულები სერტიფიკატებთან ერთად იღებენ კრედიტებსაც. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე (პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით) შეთავაზებული სასწავლო კურსებია: კარგი მმართველობა და კორუფცია, და პოლიტიკა და კორუფცია. სამაგისტრო საფეხურზე (საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით) დანერგილი კურსებია: ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში, და კორუფციასთან ბრძოლა - საერთაშორისო აქტორები, ანტიკორუფციული პლატფორმები.

30 სექტემბერს, 2021 წელს [ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და IDFI-მ განაახლეს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი](#). ახალი მემორანდუმი ახანგრძლივებს მხარეებს შორის ურთიერთობას ორი წლის ვადით, განსაზღვრავს პროგრამის მონაწილეთა ზედა ზღვარს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე, აყალიბებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს და განამტკიცებს სასწავლო კურსების ადგილს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ კურიკულუმში.






2021 წლის 30 სექტემბერს, IDFI-მ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა კორუფციასთან მებრძოლთა 2019-2020 და 2020-2021 წლების სასერტიფიკატო პროგრამის მონაწილეთა [დაჯილდოების ცერემონია](#).

IDFI-მ ჩაატარა კონკურსი სასერტიფიკატო პროგრამის მონაწილეთა ახალი კანდიდატების შესარჩევად. დაახლოებით 300 შემოტანილი განაცხადიდან საკონკურსო კომისიამ შეარჩია 22 მონაწილე საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან საბაკალავრო საფეხურისთვის და 24 მონაწილე საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორიდან სამაგისტრო საფეხურისთვის.

IDFI-მ შექმნა ანტიკორუფციული ჰაბის ვებგვერდი [anticorruptionhub.net](http://anticorruptionhub.net). ვებგვერდი არის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მოქალაქეებს გაერთიანდნენ კორუფციასთან ბრძოლაში, გაუზიარონ ერთმანეთს საინტერესო ინფორმაცია,





და ერთობლივად დაგეგმონ აქტივობები. ამავდროულად, ვებგვერდის მეშვეობით, მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ონლაინ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც შეთავაზებულია ჰაბის მიერ და თუ ისინი წარმატებით ჩააბარებენ ტესტირებას ონლაინ სასწავლო კურსისთვის მიიღებენ კურსის გავლის დამადასტურებელ ელექტრონულ სერტიფიკატს. **ანტიკორუფციული ჰაბის ვებგვერდი შეიქმნა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით.**

## გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგი (TPPR)

2021 წელს IDFI აქტიურად მუშაობდა სახელმწიფო შესყიდვების პროფესიონალთა ქსელის გაფართოების მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევდა გამოცდილების გაზიარებით დახმარებოდა ცალკეულ ორგანიზაციებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების დარწმუნებაში, თუ რატომ არის აუცილებელი ცვლილებები, სხვა წევრი ქვეყნების მაგალითებისა და არსებული დადებითი ეფექტის საფუძველზე. ამ დროისთვის, გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგი (TPPR) თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან მსოფლიოს 42 ქვეყანაში.

ინიციატივას შეუერთდნენ კოლუმბია და [კოსტოვო](#), მონაწილეთა რაოდენობა 42-მდე გაიზარდა და IDFI-მ მოიძია კიდევ რამდენიმე პარტნიორი, რომლებიც ამჟამად შეფასების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან.

2021 წლის დეკემბერში IDFI-მ ორგანიზაცია გაუწია [ექსპერტთა პანელს საჯარო შესყიდვების შესახებ ღია მმართველობის პარტნიორობის \(OGP\) მე-7 გლობალური სამიტის ფარგლებში](#). პანელზე IDFI-ის წარმომადგენელმა განიხილა TPPR და მისი როლი მსოფლიოში შესყიდვების უკეთესი სისტემების პოპულარიზაციაში.

2021 წლის განმავლობაში ვებგვერდზე გამოქვეყნდა სხვადასხვა სტატიები, ანალიტიკური მასალები და [TPPR-ის 2020 წლის ანგარიში](#).

# STRONGER ALLIANCES AGAINST CORRUPTION IN PROCUREMENT THROUGH THE LENS OF OGP

Online Panel Discussion | Tuesday, December 14 | 11:00 AM UTC

OGP GLOBAL SUMMIT PARTNER SESSION





# ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

2021 წელს, IDFI-მ განაგრძო ქვეყნის სოცალურ-ეკონომიკური გამოწვევების ანალიზისათვის აქტივობების განხორციელება. IDFI-ს მთავარი მიზანია, პერიოდულად მიმოიხილოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და მოამზადოს ანგარიშები, რათა გაიზარდოს ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება, ხელი შეეწყოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორების განვითარებას და გაიზარდოს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის მასშტაბი და ხარისხი.

## საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით



კერძო სექტორსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს დაიწყო პროექტი [„საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით“](#). პროექტის ფარგლებში IDFI-მ მოამზადა ვიდეო და ჩაატარა ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება. IDFI-მ ჩაატარა პროექტის გახსნის ღონისძიება, რათა წარედგინა საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასების მექანიზმი და განეხილა დიალოგში კერძო სექტორის მონაწილეობის გამოწვევები. შეხვედრა ჩატარდა 18 ნოემბერს, ერთდროულად შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასსა და Zoom-ში.

საჯარო-კერძო დიალოგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადებული ვიდეო გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში. ამასთან ერთად, IDFI-მ დაიწყო საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასების პირველი ფაზა, რისთვისაც ჩატარდა ინტერვიუები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და კერძო სექტორთან.

## საქართველოს განათლების სისტემაში საჯარო სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროექტი „საჯარო სერვისების ეფექტურობის გაზრდა საქართველოს განათლების სისტემაში“ მიზნად ისახავდა 2021 წლის ივნისამდე საქართველოს განათლების სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და გამოწვევების მიმოხილვის მომზადებას. კვლევის პროცესში ანალიტიკურმა ჯგუფმა ჩატარა სექტორის წინასწარი ანალიზი და შეიმუშავა კვლევის სტრუქტურა. მკვლევარებმა შეგროვებული მონაცემები გამოიყენეს სექტორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისთვის. გარდა ამისა, მკვლევარებმა შეაფასეს მთავრობის ქმედებები COVID-19 პანდემიის საპასუხოდ და გაანალიზეს ფინანსური ხარჯები პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში. გარდა ამისა, კვლევითმა ჯგუფმა ჩატარა მასწავლებლების, მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ფოკუს ჯგუფები, რის მიხედვითაც გაანალიზდა COVID-19-ით გამოწვეული პრობლემები. [კვლევის დროს](#)



[ანალიტიკოსებმა შეაფასეს საქართველოს ეკონომიკის სწავლის დანაკარგების ღირებულება \(55 მლრდ. ლარი\)](#) და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა ფართო საზოგადოებას.

## კვლევისა და საჯარო ღონისძიებების მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოს განათლების სისტემაში, COVID-19 პანდემიის განმავლობაში

პროექტის მიზანი რომელიც IDFI-იმ 2021 წელს დაიწყო, საზოგადოების დაუცველი ჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების ადვოკატირებაა. პროექტის ჯგუფმა დაიწყო მოწყვლადი ჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება სასწავლო პროცესის კუთხით პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდის ფარგლებში. კვლევა კონცენტრირებულია ეთნიკური უმცირესობებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გამოწვევებზე. კვლევის ჯგუფმა მოამზადა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები და გაგზავნა საჯარო დაწესებულებებში. შეგროვებული მონაცემები გაანალიზდება და წარმოდგენილი იქნება 2022 წელს.

## ონლაინ დისკუსიების სერია „ეკონომიკის გამოწვევები და შესაძლებლობები COVID-19 პანდემიის პერიოდში“


2021 წელს, IDFI-მ დაიწყო ონლაინ დისკუსიების სერია, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების გაზრდა მიმდინარე ეკონომიკური გამოწვევების და მათი გადაჭრის გზების თაობაზე. პირველი სესიის თემა იყო „მონეტარული პოლიტიკა და მაკროეკონომიკური პროგნოზები“, რომლის მთავარი მომხსენებელი იყო კობა გვენეტაძე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. მეორე დისკუსიის საკითხი იყო „ეკონომიკის გადატვირთვა, რასაც ტურიზმის გადატვირთვა მხოლოდ ნაწილობრივ განაპირობებს“, რომელიც წარადგინა თიბისი ჯგუფის მთავარმა ეკონომისტმა, ოთარ ნადარაიამ. ორივე ღონისძიებაზე დამსწრეთა ჩართულობა იყო მაღალი.

## მომზადებული და გამოქვეყნებული კვლევითი ანგარიშები

2021 წლის მდგომარეობით, IDFI-მ მოამზადა და გამოაქვეყნა ხუთი კვლევითი ანგარიში საქართველოს ეკონომიკური ინდიკატორების ([ეკონომიკური ზრდის მიმოხილვა](#), [საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა](#)), ენერგეტიკის სექტორის ([ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა](#)), ინვესტიციების, განათლების და ჯანდაცვის ([საქართველოს ჯანდაცვის სექტორი](#), გამოქვეყნდა 2022-ში) შესახებ. მომზადდა რეკომენდაციები და მოხდა მათი საჯაროდ განხილვა.



2021 წელს IDFI-მ განაგრძო მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება, რომლებიც მიმართული იყო პანდემიის საპასუხოდ სოციალურად მონყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისა და მათი დაფინანსების ეფექტიანობის ზრდისკენ. ასევე, IDFI-მ დაიწყო გენდერული უთანასწორობის საკითხების ანალიზი და გეგმავს, რომ 2022 წელს შეაფასოს კერძო სექტორში გენდერული უთანასწორობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგი.



## მედია და გამოხატვის თავისუფლება

2021 წელს პრესის თავისუფლება საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. გაიზარდა მედიის პოლარიზაციის ხარისხი, ასევე ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის შემთხვევები, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დაწყებული სამოქალაქო დავები (ე. წ. “SLAPP” საქმეები) და მედიის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივები.

მედიის თავისუფლების დასაცავად IDFI-მ გააძლიერა თანამშრომლობა „მედიის ადვოკატირების“ კოალიციასთან და ასევე გააძლიერა ინდივიდუალური ძალისხმევა. შედეგად, გაიზარდა საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ჟურნალისტების წინაშე არსებული სირთულეების შესახებ და შემცირდა ცვლილებების უარყოფითი გავლენა მედიაზე.

### ჟურნალისტების უფლებების დაცვა

2021 წელს მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. მხოლოდ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ და სამოქალაქო ორგანიზაციების ოფისებზე თავდასხმების გაშუქებისას 50-ზე მეტი ჟურნალისტი გახდა ფიზიკური ან/და ვერბალური თავდასხმის მსხვერპლი, რამდენიმე დღის შემდეგ კი ერთ-ერთი დაშავებული ჟურნალისტი (ოპერატორი) გარდაიცვალა. მედიის ადვოკატირების კოალიციამ არაერთი ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა და საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებებიც გაავრცელა. პროკურატურამ მოძალადე ინდივიდების ნაწილის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. სამწუხაროდ, მიუხედავად ძალისხმევისა, ძალადობის მთავარი ორგანიზატორები კვლავაც დაუსჯელები არიან.

2021 წლის სექტემბერში ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა დაახლოებით 14 GB მოცულობის დოკუმენტები, რომლებიც სავარაუდოდ დამუშავებული იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ. მასალები, მათ შორის, შეიცავდა ჟურნალისტებსა და მათ რესპონდენტებს შორის პირადი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციას.

შექმნილ სიტუაციაზე საპასუხოდ IDFI-მ გააძლიერა თანამშრომლობა „მედიის ადვოკატირების“ კოალიციასთან. 2021 წლის განმავლობაში დაფიქსირდა მედიის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის არაერთი შემთხვევა. გარდა ამისა, IDFI-მ მედიის ადვოკატირების კოალიციასთან ერთად გაავრცელა მინიმუმ 25 ერთობლივი განცხადება მედიის გამოწვევებისა და მედიისა და ჟურნალისტების მიმართ შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით. ამასთან, IDFI-მ სავარაუდო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გავრცელებული მასალებისა და დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლის შემდგომ დაასკვნა, რომ გავრცელებული მასალები მაღალი ალბათობით იყო დამუშავებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, მათ

შორის, სისტემური უკანონო მეთვალყურეობის საფუძველზე. მასალები მიუთითებდა, რომ ხელისუფლება უთვალთვალავდა რელიგიურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს. IDFI-მ მედიის ადვოკატირების კოალიციასთან ერთად გაავრცელა განცხადება და გამართა სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლებთან ფარული მოსმენა-მიყურადების ინფრასტრუქტურის აუდიტთან დაკავშირებით. საზოგადოების მწვავე პოზიციის გამო, საქართველოს პროკურატურამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

## **რელევანტური კანონმდებლობისა და საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი და მონიტორინგი**

2021 წელს IDFI-მ [გაანალიზა](#) ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი დასკვნა ელექტრონული კომუნიკაციის სერვისის მიმწოდებელ კომპანიებში სპეციალური/დროებითი მმართველის დანიშვნის თაობაზე. IDFI-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე კომპანიაში დროებითი მმართველის დანიშვნამ შეიძლება მსუსხავი ეფექტი იქონიოს ქვეყანაში მედიის გამოხატვის თავისუფლებაზე. IDFI-მ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს, შეცვალოს კანონი კომუნიკაციების კომისიის ამ უფლებამოსილების შეზღუდვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებმა გააცნობიერეს კრიტიკის მნიშვნელობა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ ჯერ არ გადაუდგამთ შესაბამისი საკანონმდებლო ნაბიჯები გამონწვევების დასაძლევად.

IDFI მონიტორინგს უწევდა იმ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა მედია ორგანიზაციებზე. კანონმდებლობის წინასწარ განსაზღვრულ კატეგორიებთან მიმართებაში შესწავლილი იყო ყველა საკანონმდებლო ინიციატივა და წინადადება განურჩევლად მათი ავტორებისა. IDFI-მ გამოავლინა 5 პრობლემური საკანონმდებლო ინიციატივა/წინადადება. ერთ-ერთი მათგანი მიიღეს, ხოლო დანარჩენი 4-ის განხილვა ამ ეტაპზე შეჩერებულია.

IDFI თანამშრომლობს მედიის ადვოკატირების კოალიციასთან ერთობლივი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, პრობლემური ინიციატივების/წინადადებების განხილვის განახლების შემთხვევაში. ამასთან, ერთ-ერთი პრობლემური საკანონმდებლო ცვლილება დიდ გავლენას ახდენდა მედია ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი რეგიონული მედიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ვინაიდან აზარტული თამაშების რეკლამების აკრძალვამ მათი შემოსავალი 15-20%-ით შეამცირა. საქართველოს პარლამენტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა IDFI-ის მიერ მედიის ადვოკატირების კოალიციასთან ერთად შემუშავებული რეკომენდაცია, რის შედეგადაც შერბილდა მიღებული კანონის უარყოფითი გავლენა მედია ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობაზე.



IDFI-მ მიმოიხილა ინტერნეტ „კონტენტის“ ბლოკირებისა და ფილტრაციის საქართველოში არსებული მოდელი. IDFI-ს შეფასებით, არსებული მოდელი არ არის გამჭვირვალე და ძირითადად ეყრდნობა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერების კეთილსინდისიერებას. გარდა ამისა, IDFI-მ აღნიშნა, რომ კონტენტის შეზღუდვის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების უმეტესობა არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული, რადგან მათი მიღება ვერ აკმაყოფილებდა ფორმალური კონსტიტუციურობის მოთხოვნებს. ამასთან, IDFI-მ გამოავლინა მრავალი ხარვეზი მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ციფრული თავისუფლებების არამართლზომიერად შეზღუდვისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებმა თითქმის სრულად აღიარეს IDFI-ს დასახელებული გამონწვევების რეალურობა. IDFI გეგმავს გააგრძელოს მუშაობა პარლამენტთან და შესაბამის ორგანოებთან საქართველოში აუდიო/ვიზუალური კონტენტის რეგულირების შესახებ კანონპროექტზე. დამატებით, IDFI-მ მოამზადა ცალკე ანალიზი „ინტერნეტ კონტენტის“ დაბლოკვისა და ფილტრაციის შესახებ. ეს საკითხი საქართველოში ციფრული უფლებების გამონწვევების შესახებ IDFI-ს მიერ მომზადებული ანგარიშის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი იყო.

IDFI ყურადღებით აკვირდებოდა საკანონმდებლო ინიციატივებსა და უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას გამოხატვის თავისუფლების არასაკანონმდებლო საფრთხეების იდენტიფიცირებისთვის. IDFI-მ გამოავლინა 2 საკანონმდებლო

წინადადება, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენდა გამოხატვის თავისუფლებაზე. გარდა ამისა, IDFI-მ გამოავლინა პოლიტიკურად მოტივირებული, დიდ თანხებთან დაკავშირებული სამი სამოქალაქო სარჩელი, რომელთაგან მინიმუმ ერთი განხილვის პროცესშია. ამჟამად IDFI მუშაობს მედიის ადვოკატირების კოალიციასთან სტრატეგიული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, რადგან პოლიტიკური პარტიების მხრიდან მსგავსი ქმედების განხორციელების მაგალითები ამ დრომდე არ არსებობს.

## **მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

2021 წლის მიწურულს, IDFI შეუდგა ახალი [პროექტის](#) განხორციელებას. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, IDFI-მ დაიწყო სრული სამართლებრივი დახმარების განწევა ჟურნალისტებისა და მედია ორგანიზაციებისთვის. იურიდიული დახმარება არის სრულყოფილი (მოიცავს კონსულტაციას, განცხადებებისა და საჩივრების მომზადებას, იურიდიულ წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში) და სრულიად უფასო. სანციის ეტაპზე გაიცა 10 იურიდიული კონსულტაცია და მომზადდა 7 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. 2022 წლის თებერვლიდან IDFI-ს სამართლებრივი დახმარების პროგრამა სრული დატვირთვით ამოქმედდა. პროგრამის მთავარი ბენეფიციარები არიან ჟურნალისტები, განსაკუთრებით რეგიონული მედიის წარმომადგენლები.

- IDFI-მ კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული კონსულტაცია გაუწია გამომძიებელ ჟურნალისტებს. კონსულტაციები ჟურნალისტებს დაეხმარა რთული სამართლებრივი საკითხების გააზრებაში, სწორი კითხვების დასმასა და შესაბამისი დასკვნების გამოტანაში. ჩატარდა 10 პროფესიული კონსულტაცია სხვადასხვა საკითხებზე.
- 20-მდე ჟურნალისტსა და აქტივისტს, ასევე 30 საჯარო მოხელეს ჩაუტარდა კონსულტაციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შესახებ.

**Covid-19-ის დროს ფიზიკური პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარება (კონსულტაციების განწევა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა) ადამიანის უფლებების შესახებ.**

ჩატარდა სულ მცირე 15 კონსულტაცია, მომზადდა 3 სამართლებრივი დოკუმენტი და 3 საქმე დასრულდა წარმატებით და შესაბამისი პირები გათავისუფლდნენ ჯარიმისგან.





## კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

წინა წლების მსგავსად, 2021-შიც IDFI აქტიურად გეგმავდა და ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობას კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.

ამ მიმართულებით, IDFI-მ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე მოამზადა კვლევები, ანგარიშები, მიმოხილვები, სტატიები და ბლოგპოსტები. მოცემული პერიოდის განმავლობაში, IDFI-ს საქმიანობის დიდი ნაწილი უკავშირდებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტური საქმიანობისა და საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობას.


IDFI წარმატებით აწარმოებდა სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეებს, მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტების საფუძველზე ადვოკატირებას უწევდა შესაბამის რეკომენდაციებს, ასევე აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებში. IDFI-ის ცნობიერების ამაღლების აქტივობები გასულ წელს კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, მათი ნაწილი მიემართებოდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს - გაიმართა სტუდენტური კონფერენცია, ესეების კონკურსი და საზაფხულო სკოლა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, ასევე ჩატარდა ზამთრის სკოლა - „კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“.

ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გასაძლიერებლად.

### სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში

2021 წლის 15 მარტს, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ კვლევის „[სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში](#)“ პრეზენტაცია გამართა.

კვლევა ყურადღებას ამახვილებს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის კუთხით არსებულ ძირითად ხარვეზებზე. სერიოზულ გამოწვევად რჩება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და კონსტიტუციური სტანდარტის უგულებელყოფა. პრობლემურია სასამართლოების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და საჯარო ინფორმაციის არასრულ-



ყოფილი სახით გამოქვეყნება. ასევე აღსანიშნავია საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკის წარმოებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

კვლევაში მოცემულია 26 ძირითადი მიგნება სასამართლოს სისტემის გამჭვირვალობის გამოწვევებსა და ხარვეზებზე, ასევე 25 რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც არსებითია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ღიაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის უფროსმა წარმოდგენილი რეკომენდაციების მომავალში დანერგვის მზადყოფნა გამოხატა. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორი სასამართლო პროცესის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოებას გეგმავს. ასევე, ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად გამოქვეყნდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. რაც მთავარია, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორი საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მიზნად ისახავს მიიღოს სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების საერთო სტანდარტსა და მეთოდოლოგიას.

## **IDFI-ს კუბლიკაციები საზოგადოებისა და პროფესიონალების ინფორმირებისათვის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სამართალდამცავ ორგანოებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის შესახებ**

2021 წლის 10 თებერვალს, IDFI-მ გამოაქვეყნა [ანალიზი](#) საერთაშორისო პრაქტიკაზე „გუდ-მუნდურ ანდრი ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ: მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ კანონმდებლობის დარღვევამ სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვა გამოიწვია“.

2021 წლის 8 თებერვალს IDFI-მ გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების [მიმოხილვა](#) საქმეზე ლემჩენკო უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან.

IDFI-მ სამი სტატია გამოაქვეყნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვან საკითხებზე: [პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა ელექტრონული მმართველობის პროცესში](#); [მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მნიშვნელობა საქართველოსთვის](#); [პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა - სისტემური გამონწვევა საქართველოსთვის](#).

IDFI-მ ქართულად თარგმნა ბარბარა ატარდისა და ქეთრინ ოლსონის [სტატია](#) „სამართალდამცავ ორგანოთა საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები შეერთებულ შტატებში“, რამაც გაზარდა საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხის შესახებ.



## პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ანგარიშის კრეზენტაცია და ონლაინ დისკუსია



27 მაისს, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოწვევების შესახებ ონლაინ [დისკუსია](#) და [ანგარიშის](#) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა“ პრეზენტაცია გამართა. ანგარიშში შეფასებულია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული მთავარი პრიორიტეტების დანერგვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი. დოკუმენტში ასევე მოცემულია ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, შესაძლო ცვლილების განხორციელების გზები და რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ყველაზე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

## ანგარიში COVID-19-ისა და ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში

IDFI-ის საქმიანობამ Covid-19-ით გამოწვეული ადამიანის უფლებების აქტიური შეზღუდვის დროს გამოიწვია მნიშვნელოვანი გაუმჯობესება კონსტიტუციური უფლებების დაცვის მიმართულებით. 2021 წლის განმავლობაში, IDFI-მ მოამზადა 3 განცხადება, [2 ანგარიში](#) და გამართა 2 საჯარო დისკუსია Covid-19-ის დროს ადამიანის უფლებების გადაჭარბებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. IDFI-მ გამოავლინა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ათობით ათასი უკანონოდ გამოწერილი ჯარიმა და მიუთითა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე სასამართლო, საპარლამენტო და სამოქალაქო ზედამხედველობა უკიდურესად სუსტი იყო. შემუშავდა 3 რე-



კომენდაცია და იდენტიფიცირებულმა სამართლებრივმა გამოწვევებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საჯარო ინფორმაციის გასაშუქებზე, რადგან შესაბამისი აქტივობები ფართოდ იყო გაშუქებული მედიის მიერ (მინიმუმ 10 სატელევიზიო და მრავალი ონლაინ მედია რეპორტაჟი).

## სტრატეგიული სამართალწარმოება

2021 წლის თებერვალში, თბილისის საქალაქო სასამართლომ [დააკმაყოფილა](#) IDFI-ს სარჩელი და მოპასუხე მხარეს საჯარო ინფორმაციის გაცემა დაავალა. 2021 წლის ოქტომბერში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ [„მედიაკადემიას“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა](#) და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (“მედიაკადემია”) სასამართლომ ფუნქციონალური გაგებით ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნია და საჯარო ინფორმაციის გაცემა დაავალა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარემ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

2020 წლის დეკემბერში, IDFI-მ სარჩელი შეიტანა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მთავრობის განკარგულებების გაცემის მოთხოვნით. 2021 წლის ნოემბერში გამართულ სხდომაზე მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას მოსარჩელეს მიაწვდიდნენ, თუმცა დღეის მდგომარეობით განკარგულებებზე IDFI-ს ხელი ისევ არ მიუწვდება. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს და მთავარი სხდომა ჯერ ჩანიშნული არ არის.

2021 წლის 11 თებერვალს, IDFI-ის განცხადების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველმა საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. სახალხო დამცველმა სამინისტროს მიერ IDFI-ს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლების დარღვევა დაადგინა.

## დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის აქტივობაში მონაწილეობა და განცხადებების გამოქვეყნება

IDFI, როგორც დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის აქტიური წევრი, მონაწილეობას იღებს მის საქმიანობაში და წვლილი შეაქვს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული საჯარო განცხადებების მომზადებაში. 2021 წელს გამოქვეყნდა 14 განცხადება.

## გაღალი ღონის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით




2021 წლის 16 ივნისს “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა” საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსთან, კოალიციასთან დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად სამუშაო [შეხვედრა](#) გამართა.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გასატარებელი საკანონმდებლო ღონისძიებები. ეს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების აქტების საჯაროობას შეეხება და მისი ჯეროვნად იმპლემენტაცია ე. წ. შარლ მიშელის შეთანხმების ნაწილია. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას შორის დადგენილი ბალანსი უთანხმოების საგანს წარმოადგენდა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციის საბაზისო მოდელი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი უნდა შეიმუშაოს. შედეგად, 2021 წლის პირველი ივლისს დარეგისტრირდა საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონის პროექტი. ინიციატივის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. აღსანიშნავია, რომ IDFI-მ [მოამზადა კანონპროექტის სრულყოფილი სამართლებრივი ანალიზი და დამატებით მოამზადა ალტერნატიული კანონპროექტი.](#)

## საქართველოში ფარული მეთვალყურეობის შესახებ კვლევა

2021 წლის 7 ივლისს, IDFI-მ გამოაქვეყნა [კვლევა](#) „ფარული მეთვალყურეობა საქართველოში 2018-2020 წლებში“. კვლევა მიმოიხილავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ შუამდგომლობების, აგრეთვე გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაკმაყოფილების სტატისტიკას პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2018-2020 წლებში.



## სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული კვლევის პრეზენტაცია



2021 წლის 12 ივლისს IDFI-მ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა [წარადგინეს კვლევა](#), რომელიც სრულყოფილად და ყოველმხრივ აფასებს იმ დროისთვის მოქმედ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს საქართველოში. ავტორებმა გამოავლინეს 48 ძირითადი მიგნება და შეიმუშავეს 41 რეკომენდაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გაიზიარა რეკომენდაციების უმრავლესობა და ისინი ასახა საკანონმდებლო წინადადებაში, რომელიც წარედგინა პარლამენტს 2021 წლის დეკემბერში.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზაფხულო სკოლა

2021 წლის აგვისტოში, IDFI-სა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ერთობლივი საზაფხულო სკოლა გაიმართა. კონკურსში მონაწილეობდა 188 კანდიდატი, რომელთაგან IDFI-მ და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასებისა და გასაუბრების საფუძველზე 20 სტუდენტი შეარჩიეს. საზაფხულო სკოლის პროგრამა შეეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს და მოიცავდა ბალანსირებულ თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მომავალ აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის ინტერესის გაჩენის მიზნით IDFI-მ მოამზადა მოკლე ვიდეო საზაფხულო სკოლასთან დაკავშირებით.



სტუდენტებისგან მიღებულმა უკუკავშირმა აჩვენა, რომ საზაფხულო სკოლა იყო ძალიან პროდუქტიული და ინტერაქტიული, ასევე, აქტივობები მორგებული იყო სტუდენტებზე. სკოლამ მონაწილეებს მისცა შესაძლებლობა მიეღოთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან, ასევე, შესძინა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეული გაგება.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით სტუდენტების უსაფრთხოების გამოქვეყნება და ონლაინ კონფერენცია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ესეების კონკურსი 2021 წლის 14 მაისს გამოცხადდა, სადაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 60-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. IDFI-მ და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოავლინეს 15 გამარჯვებული ესეს ავტორი. 9 აგვისტოს გაიმართა ონლაინ კონფერენცია, სადაც სტუდენტებმა წარადგინეს თავიანთი ნაშრომები. 19 აგვისტოს IDFI-მ და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მონაწილეებისთვის გამართეს დაჯილდოების [ცერემონია](#). სექტემბერში [გამოქვეყნდა](#) ონლაინ ჟურნალი, რომელშიც შევიდა სტუდენტების მეორე დაწერილი ესეები. ამ აქტივობებმა ხელი შეუწყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე დისკუსიის გაღრმავებას.



## საქართველო კანონის უზენაესობის 2021 წლის ინდექსში - ანალიზის გამოქვეყნება

2021 წლის ოქტომბერში IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიზი [საქართველო კანონის უზენაესობის 2021 წლის ინდექსში](#). მოცემული ნაშრომის მიზანი იყო საქართველოში კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მაჩვენებლების განხილვა 2021 წლის მდგომარეობით, მისი შედარება წინა წლების მაჩვენებლებთან, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და ტენდენციების გამოვლენა.



## IDFI-ს ზამთრის სკოლა - კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები




2021 წლის 9-14 დეკემბერს ჩატარდა IDFI-ის ზამთრის სკოლა „კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“. სკოლის მიზანი იყო სტუდენტების ცოდნის გაღრმავება კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, პრობლემურ საკითხებზე დისკუსიების წახალისება, შეხედულებების ურთიერთგაცვლა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება. კონკურსში მონაწილეობდა სამართლის 233 სტუდენტი, საბოლოოდ კი შეირჩა 24 მონაწილე.

ზამთრის სკოლის ფარგლებში დარგის ექსპერტებმა განიხილეს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ღია მმართველობა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულება, ინფორმაციის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როლი, გამოხატვის თავისუფლება.

IDFI-მ ზამთრის სკოლასთან დაკავშირებული მოკლე ვიდეორგოლი გადაიღო, რომელიც [Facebook](#)-სა და [Youtube](#)-ზე გავრცელდა.

## ტრენინგი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებისთვის

2021 წლის 7-8 ოქტომბერს, IDFI-მ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებისათვის ორდღიანი ტრენინგი [გამართა](#). ტრენინგის დღის წესრიგი სპეციალურად შემუშავდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებით და მოიცავდა იმ პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებს, რომლებიც სამსახურის საქმიანობისთვის რელევანტურია. ტრენინგებზე მონაწილე იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **მაია კოპალეიშვილი** და სააკველაციო სასამართლოს მოსამართლე **შოთა გენაძე**.



## სამუშაო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან

2021 წლის 24-25 ივნისს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან თანამშრომლობით IDFI-მ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მედიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა [გამართეს](#).

მედიის წარმომადგენლებმა ეს ღონისძიება დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ შეხვედრამ მნიშვნელოვნად გაზარდა მათი ინფორმირებულობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ.





## ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერა

2021 წელს IDFI-მ ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული აქტივობების მასშტაბი გაზარდა. ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო რამდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების ხელშეწყობასა და მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის პროცესის მხარდაჭერაში. ამასთან, IDFI-მ ქვეყნის მასშტაბით განახორციელა მუნიციპალიტეტების მიერ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საჯარო ფინანსების განკარგვის მონიტორინგი.

### ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი 2021

2021 წლის 15 დეკემბერს IDFI-მ ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრთან (CTC) და მენეჯმენტის სისტემების განვითარების ცენტრთან (MSDC) ერთად [წარმოადგინა](#) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შედეგები. ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერია ღია საზოგადოების ფონდი საქართველო (OSGF). კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების გამო მუნიციპალიტეტების ჯამური შედეგები 2019 წელთან შედარებით ფაქტობრივად უცვლელი დარჩა (მერიების შემთხვევაში დაფიქსირდა 1%-იანი გაუმჯობესება). ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კუთხით მუნიციპალიტეტების შედეგი 2%-ით გაუმჯობესდა (20%-დან 27%-მდე), თუმცა მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტში დაფიქსირდა 6%-იანი შემცირება. 2019 წლის შედეგებთან შედარებით, 24-მა მუნიციპალიტეტში გაუმჯობესება აღინიშნა.





**ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შესახებ:** ინდექსი აფასებს საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დონეს, ისევე როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს გადამწყვეტილებების მიღების პროცესში. 2017, 2019 და 2021 წლების ეროვნული შეფასების შედეგები მუნიციპალიტეტების რეიტინგებთან ერთად წარმოდგენილია შემდეგ ვებგვერდზე: [www.LSGIndex.org](http://www.LSGIndex.org)

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის საუკეთესო პრაქტიკასა და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, IDFI-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად - CTC და MSDC - ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისათვის შეიმუშავა ონლაინ კურსი - ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები. [კურსზე](#) დარეგისტრირდა და მასალებს გაეცნო 140-მდე მომხმარებელი.

## საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დამკვიდრების მხარდაჭერა

2021 წელს, USAID/GGI დაფინანსებული პროექტის ფარგლებში IDFI დამატებით 4 მუნიციპალიტეტს (ახმეტის, ამბროლაურის, ლანჩხუთისა და ცაგერის მერიები) დაეხმარა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამდლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მიღებაში. ამ მიზნით ყველა მუნიციპალიტეტისათვის მომზადდა კორუფციული რისკების შეფასების ანგარიში. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიის პირველადი დოკუმენტების განხილვის მიზნით, ონლაინ საჯარო დისკუსია ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარეებმა საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს, რაც შეგროვდა და საბოლოო დოკუმენტებში აისახა. საბოლოო დოკუმენტები მუნიციპალიტეტების მერიებმა 2022 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში უნდა დაამტკიცონ. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების მიღებით, მუნიციპალიტეტებმა 2019-2020 ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეასრულეს. დამტკიცებული დოკუმენტების სრული იმპლემენტაცია საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს უკეთ უპასუხონ ადგილობრივ გამოწვევებს და მოქალაქეთა საჭიროებებს, გააუმჯობესონ მმართველობის სისტემა, გაზარდონ მოქალაქეთა ნდობა, შეამცირონ კორუფციული რისკები და გააუმჯობესონ მუნიციპალური სერვისების ხარისხი. მეტი ინფორმაცია: I. <https://bit.ly/3QEP6y5> II. <https://bit.ly/3Nb8i3Q>

## თბილისის მერიის ღია მონაცემების მენეჯმენტისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მხარდაჭერა

USAID/GGI-ის მხარდაჭერით, IDFI თბილისის მერიას ღია მონაცემების პორტალის კონცეფციისა და ტექნიკური აღწერის შექმნაში დაეხმარა. აღნიშნული პორტალის განვითარებით მერიას შესაძლებლობა ექნება გააუმჯობესოს ღია მონაცემების ეკოსისტემა მუნიციპალიტეტში და უზრუნველყოს საჯარო სიკეთეებისათვის მეტი ღია მონაცემის შექმნა.

IDFI-მ მოამზადა მუნიციპალიტეტის ღია მონაცემების მენეჯმენტის სისტემის სიღრმისეული ანალიზი და ანგარიში, რომლის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების, მიგნებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

ღია მონაცემების პორტალის კონცეფცია ასევე [განხილულ იქნა](#) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან და მონაცემთა სპეციალისტებთან. მათი ინტერესების და შემოთავაზებები (გასაკუთრებით ფინანსური სექტორიდან) აისახა საბოლოო დოკუმენტში.

## ადგილობრივი მთავრობის აქტივობების მონიტორინგი და ანალიზი საჯარო ფინანსების მენეჯმენტში და საჯარო მონაწილეობის ხელშეწყობა



ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სფეროს მონიტორინგის ფარგლებში IDFI-მ გაანალიზა მათი საჯარო ხარჯები, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ადგილობრივი არჩევნების პერიოდში მუნიციპალური სერვისებისა და მათთან დაკავშირებული ხარჯების კუთხით, ასევე მუნიციპალიტეტების უწყებებში დასაქმებულებისა და მათი ანაზღაურების პოლიტიკის მიმართულებით. ანალიზის შედეგად მოხდა ძირითადი ინსტიტუციური და პრაქტიკული გამონვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული მიმართულებით შემდეგი კვლევების გამოყოფა შეიძლება:

- I. [ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ანალიზი](#)
- II. [ზუგდიდის და ბათუმის მუნიციპალიტეტების 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების კანონიერების შეფასება](#)
- III. [სახელფასო პოლიტიკა თვითმმართველობებში და პრემიერის დაპირება](#)
- IV. [ადგილობრივი თვითმმართველობების სარეზერვო ფონდების ხარჯვა 2020 წელს](#)
- V. [მუნიციპალურ ა\(ა\)იკ-ებსა და შპს-ებში დასაქმებული თანამშრომლები და შრომის ანაზღაურების ხარჯები](#)
- VI. [პეტიციების სისტემის მნიშვნელობა მოქალაქეთა მონაწილეობისთვის: საერთაშორისო მაგალითები და საქართველოს პრაქტიკა](#)


## მუნიციპალიტეტების ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართულობის ხელშეწყობა

ღია მმართველობის პარტნიორობაში მუნიციპალიტეტების მეტი ჩართულობისა და მათი მხრიდან უკეთესი რეფორმების ვალდებულების აღების ადვოკატირების მიზნით, IDFI-მ OGP-ის ადგილობრივი პროგრამის მონაწილე მუნიციპალიტეტების მთავარი გამონვევების [მიმოხილვა](#) მოამზადა. ანალიზმა დაფარა 4 მუნიციპალიტეტის აქტივობები ვალდებულებების შესრულების კუთხით და მასზე დაყრდნობით შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები. IDFI გეგმავს გააგრძელოს OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში მუნიციპალიტეტების ჩართულობისა და ამბიციური რეფორმების განხორციელების მხარდაჭერა.

ამასთან, IDFI აქტიურად იყო ჩართული თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ OGP-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში და უზიარებდა მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს თბილისის OGP-ის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

## ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების შესაძლებლობების განვითარება


ევროპის საბჭოსთან პარტნიორობით, IDFI-ის გუნდმა მოამზადა [სახელმძღვანელო ღია ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო სამსახურში ეთიკის წესების შესახებ](#), რომელმაც დაფარა საჯარო პოლიტიკის 24 საკითხი, ოთხი შედარებით ფართო საკითხის ქვეშ: საჯარო ეთიკა და ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობა და კორუფციული რისკები. სახელმძღვანელო თითოეული მიმართულების მიხედვით მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებს, ადგილობრივ კანონმდებლობასა და ქართველი ადგილობრივი საჯარო მოსამსახურეებისათვისა და საჯარო მოხელეებისათვის საუკეთესო პრაქტიკას. სახელმძღვანელოს გამოიყენებს როგორც ევროპის საბჭო, ისე IDFI, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული მომავალი აქტივობების განხორციელების პროცესში.



## მდგრადი განვითარების მიზნების (SDG-ები) ლოკალიზაციის ხელშეწყობა


გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან პარტნიორობით, საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის პროცესის დასაწყებად, IDFI-მ მოამზადა საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების არქიტექტურა და ლოკალიზაციის პერსპექტივების ყოვლისმომცველი ანალიზი. დოკუმენტმა მოიცვა 19 მუნიციპალიტეტი, რომელთა შედეგები კვლევის მიზნებისთვის განზოგადდა. გამოიკვეთა ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები, ასევე, შემუშავდა პოლიტიკის რეკომენდაციები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა საქართველოში ეფექტურად დაიგეგმოს და განხორციელდეს SDG-ების ლოკალიზაციის პროცესი.

ამასთან, პრაქტიკული და ინფორმაციული სახელმძღვანელო, საერთაშორისო და ადგილობრივი კონტექსტისა და გამოცდილების მიხედვით, SDG-ების ლოკალიზაციისათვის მუნიციპალიტეტებისთვისაც მომზადდა. დამატებით, მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობებისათვის შეიქმნა ვიდეო და ბროშურა. 2022 წლისთვის დაიგეგმა ტრენინგები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის.



## ინტერნეტი და ინოვაციები

2021 წელს IDFI-მ გააფართოვა კვლევის, ადვოკატირებისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობების არეალი ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. ასევე, ორგანიზაციამ განაგრძო მონიტორინგისა და ადვოკატირების აქტივობები კიბერსივრცეში პერსონალური მონაცემების შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისთვის. IDFI-მ ასევე განაგრძო ციფრული უფლებების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და საჯარო სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ტრადიციული მონიტორინგი.



## კვლევა, ადვოკატირება და შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე (AI)

2021 წელს IDFI-მ გააგრძელა კვლევა, ადვოკატირება და შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები, რომლებიც 2020 წელს არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) ფინანსური დახმარებით დაიგეგმა. კერძოდ, ორგანიზაციამ მოამზადა ორი კვლევა:

პოლიტიკის დოკუმენტა - ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები, მკითხველს მიაწოდა ინფორმაცია ხელოვნური ინტელექტის მთავარ ასპექტებზე, არა მხოლოდ როგორც მრავალი პრობლემის ტექნოლოგიური გადაწყვეტის შესაძლებლობაზე, არამედ როგორც ბიზნესის განვითარებისა და საჯარო ადმინისტრირების პროცესის სრულიად ახალ მეთოდოლოგიაზე და მართვის, გადაწყვეტილების მიღებისა და ზედამხედველობის თანამდეროვე ინსტრუმენტზე.







მეორე კვლევამ - [ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში - კანონმდებლობა და პრაქტიკა](#) - მიმოიხილა საქართველოს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვა საქართველოს საჯარო სექტორში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. ასევე, ხაზგასმულია ხელოვნური ინტელექტის სისტემების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და სამიზნე საჯარო უწყებებისათვის ეთიკური ნორმების განმსაზღვრელი დოკუმენტების ნაკლებობა. მიზნების საფუძველზე IDFI-მ რამდენიმე რეკომენდაცია შეიმუშავა.

შემუშავებული პოლიტიკის რეკომენდაციების უკეთ ადვოკატირებისა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით, 2021 წლის 18 თებერვალს IDFI-მ ონლაინ საერთაშორისო [კონფერენცია](#) გამართა,

სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტი: საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო“. კონფერენციაზე განხილულ იქნა საერთაშორისო სტანდარტები, ტენდენციები, გამჭვირვალობა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური ნორმები, ასევე საქართველოს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კონკრეტული შემთხვევები და მათი შედეგები პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებით. სპიკერებს შორის იყვნენ საჯარო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აკადემიის წარმომადგენლები, ისევე როგორც საერთაშორისო ექსპერტები და სსო-ები შემდეგი ორგანიზაციებიდან: არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი (ECNL), ePanstwo ფონდი, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ინსპექტორის ოფისი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.



## საჯარო მოსამსახურეების ტრენინგი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე (AI)

საჯარო სექტორის წარმომადგენლებში AI-ზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2021 წლის 15 თებერვალს, IDFI-მ საჯარო მოხელეებისთვის [ონლაინ ტრენინგი ჩაატარა](#) საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებაზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა საჯარო მოხელეებისთვის ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებას. ასევე, საქართველოში ამგვარი სისტემების გამოყენების პრაქტიკის ანალიზის შედეგების და გამოკვეთილი გამოწვევების გაცნობას. ტრენინგის ფარგლებში გაიმართა დისკუსია, ხელოვნური ინტელექტის გამჭვირვალობის სტანდარტებთან, გამოყენებასთან და მისი დანერგვის გამოწვევებთან დაკავშირებით.

## ადვოკატირება კიბერსივრცეში მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველსაყოფად

ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში წინააღმდეგობრივი ცვლილებების დასაძლევად IDFI-ის ადვოკატირების აქტივობების გაგრძელების მიზნით 2021 წელს ორგანიზაციამ მოამზადა ახალი კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იყო კანონმდებლობის განსხვავებულ ასპექტზე - მონაცემებისა და პირადი ცხოვრების დაცვის მექანიზმების ნაკლებობის გამოწვევებზე. კვლევამ - [კიბერსივრცეში პერსონალური მონაცემების დაცულობის უზრუნველყოფა: გამოწვევები და საჭიროებები საქართველოსთვის](#) - მიმოიხილა კიბერსივრცეში პერსონალური მონაცემებისა და კიბერუსაფრთხოების მარეგულირებელი სამართლებრივი გარემო, გამოავლინა არსებული გამოწვევები და ნაკლოვანებები და შეიმუშავა მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, საუკეთესო ევროპული სამართლებრივი ჩარჩოების მიხედვით. [2021 წლის 25 ნოემბერს ონლაინ სამუშაო შეხვედრის ფარგლებში](#) ანგარიში წარედგინათ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. მონაცემთა დაცვის საკითხზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენელმა IDFI-ის რეკომენდაციები მოიწონა.

კიბერუსაფრთხოებასთან და ციფრულ უფლებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების უკეთ კომუნიკაციისათვის, IDFI-მ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი [ინტერნეტ მმართველობის ფორუმის](#) ორგანიზებაში და კოორდინირება გაუწია კიბერუსაფრთხოების პანელს („ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და მისი განხორციელების მთავარი გამოწვევები“). პანელური დისკუსიისას, რომელიც 2021 წლის 30 ნოემბერს გაიმართა, IDFI-ქსპერტებმა წარმოადგინეს ორგანიზაციის მთავარი რეკომენდაციები. ფორუმს ასევე ესწრებოდნენ საჯარო უწყებების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## ინტერნეტის თავისუფლება საქართველოში

მე-8 წელია IDFI-ის მედიის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი Freedom House-ის დამხმარე ავტორია და მონაწილეობს საქართველოზე ინტერნეტის თავისუფლების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში.

2021 წელს [გამოქვეყნებული ანგარიშის](#) მიხედვით, საქართველომ 100-დან 77 ქულა აიღო და ინტერნეტ თავისუფლების მხრივ შეფასდა, როგორც „თავისუფალი“ ქვეყანა. 2020 წელთან შედარებით, ქვეყნის ქულა, საერთო ჯამში, ერთით გაუმჯობესდა, რაც ონლაინ სივრცეში განხორციელებულ ქმედებაზე ადამიანების დაპატიმრების ფაქტის არარსებობას უკავშირდება. თუმცა, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა კიბერშეტევებისა და მანიპულირებული ონლაინ მასალის მზარდი ტენდენციები.

## ციფრულ თავისუფლებებთან დაკავშირებით სისტემური გამოწვევების მონიტორინგი და ანგარიშგება



შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის (BST) ფინანსური მხარდაჭერით, IDFI ახორციელებდა ინტერნეტ/კომუნიკაციების სექტორის სახელმწიფო მარეგულირებლის საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს მათ ანგარიშვალდებულებას, ციფრულ თავისუფლებებთან დაკავშირებით მათი გადაწყვეტილებების პროპორციულობას, ასევე კანონმდებლობის სისტემურ გამოწვევებს. მონიტორინგის ფარგლებში მომზადდა და გავრცელდა 3 ბლოგი და საბოლოო ანგარიში.

- I. [ინტერნეტის თავისუფლება და ციფრული უფლებები საქართველოში: სისტემური გამოწვევები](#)
- II. [ინტერნეტ ტრაფიკის შეგროვების ქართული მოდელი](#)
- III. [კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნები „ინტერნეტ კონტენტის“ რეგულირებასთან დაკავშირებით](#)

დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობის, ასევე ციფრული თავისუფლების დაცვის უკეთესი მექანიზმების შემუშავების ირგვლივ მოსაზრებების გაცნობის მიზნით, სამი სამუშაო შეხვედრა გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, მედიის, აკადემიის, სამოქალაქო აქტივისტების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. მოგვიანებით, 2022 წლის 1 თებერვალს, გაიმართა ციფრული თავისუფლების კუთხით სისტემური გამოწვევების შესახებ შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია და მოენყო პანელური დისკუსია დაინტერესებული მხარეების/სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით. IDFI-ს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს დადებითად გამოეხმაურა როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სექტორი. ორგანიზაცია კვლავ გეგმავს ამ კუთხით ადვოკატირების გაგრძელებას.

## **კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის მონიტორინგი ინტერნეტ პროვაიდერ კომპანიებთან მიმართებით**

კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილების შემდგომ, რაც შპს „კავკასუს ონლაინში“ სპეციალური მმართველის დანიშვნას გულისხმობდა და რაც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებს ეხმიანებოდა, IDFI ამ კუთხითაც ახორციელებს განვითარებული მოვლენების მონიტორინგსა და ანგარიშგებას. ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხზე სამი კვლევა მოამზადა:

- I. [სააპელაციო სასამართლომ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინში“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ დროებით შეაჩერა](#)
- II. [ვენეციის კომისიის დასკვნის ანალიზი: სპეციალური მმართველის ინსტიტუტი კონვენციის მოთხოვნებს არღვევს](#)
- III. [ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილებებზე ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ჯერჯერობით არ შესრულებულა](#)

## საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

IDFI-მ GovTech მზაობის ინდექსში საქართველოს შედეგები [შეაფასა](#). **მსოფლიო ბანკის GovTech მზაობის ინდექსი**, ციფრული ტრანსფორმაციის ქრილში, მმართველობის ოთხ კომპონენტს ზომავს: სამთავრობო სისტემების მხარდაჭერა, სერვისების მიწოდება, მოქალაქეთა ჩართულობა და GovTech-ის ხელშეწყობა. გლობალური ტენდენციებისა და საქართველოს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, IDFI-მ 10-მდე პოლიტიკის ზოგადი რეკომენდაცია შეიმუშავა, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის განახლება და მიღება, ელექტრონული მმართველობის სისტემების დაჩქარება საქართველოს რეგიონებში და ღია მონაცემთა შესახებ ერთიანი სტანდარტების დანერგვა.

## სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ჟურნალისტებისა და აქტივისტების შესაძლებლობების განვითარება მედიისა და ციფრული ნივნიერების კუთხით

2021 წლის [15 ოქტომბერს](#), ასევე [14 ნოემბერს](#), ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ ორი ინფორმაციული და პრაქტიკული ტრენინგი გამართა, რომელიც პრაქტიკული უნარებისა და რჩევების, ასევე ონლაინ პლატფორმების გაზიარების გზით, სტუდენტების, ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და აქტივისტების შესაძლებლობების გაზრდას, ასევე, მათი ზედამხედველობითი უნარების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა.

2021 წლის 9 თებერვალს, უსაფრთხო ინტერნეტის დღის აღსანიშნავად, IDFI-მ სოციალური ქსელების მეშვეობით ფართოდ გაავრცელა ციფრული უსაფრთხოებისა და ციფრული ჰიგიენის შესახებ მომზადებული სახელმძღვანელოები და ვიზუალიზაციები.

გარდა ამისა, 2021 წლის 22 ნოემბერს, IDFI-მ გამართა [ონლაინ დისკუსია/ლექცია](#) სტუდენტებთან, სადაც მონაწილეები საქართველოში ციფრული და კიბერ უსაფრთხოების კუთხით არსებულ მთავარ გამოწვევებს გაეცნენ.



# მეხსიერების და დეზინფორმაციის კვლევები

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევის მიმართულება ორიენტირებულია საბჭოთა წარსულისა და მემკვიდრეობის სიღრმისეულ გააზრებაზე, საარქივო ღიაობის მხარდაჭერასა და თანამედროვე დეზინფორმაციული კამპანიების ანალიზზე. მიმართულება სწავლობს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ისტორიას, აქტიურად მუშაობს მეხსიერების უკვდავყოფაზე და ამ მხრივ ეფექტური მეხსიერების პოლიტიკის ადვოკატირებაზე. 2021 წლის ბოლოსთვის IDFI-ის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ბათუმში აღმოჩენილი საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა მასობრივი სამარხის საფუძვლიანი შესწავლა წარიმართა. ორგანიზაცია რეგულარულად აქვეყნებს კვლევით სტატიებს საბჭოთა წარსულის, მისი კოლექტიური მეხსიერების და რუსული დეზინფორმაციის შესახებ.

## არქივების ღიაობა

2021 წლის დასაწყისიდან IDFI აქტიურად აგრძელებდა 2020 წლის ბოლოს გამოქვეყნებულ კვლევით ანგარიშს - [„სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“](#), რომელშიც შეჯამებულია სახელმწიფო არქივების ღიაობა 10 ქვეყანაში პანდემიის განმავლობაში.

IDFI-მ შეისწავლა საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ღიაობის საკითხი და გამოაქვეყნა სტატია - [„აჭარის არქივის ხელმისაწვდომობის პრობლემები“](#), რომელიც ეფუძნება სავლელ სამუშაოებსა და უწყებისგან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას. IDFI-მ შეიმუშავა რეკომენდაციები აჭარის არქივის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

IDFI-მ მოამზადა საარქივო კანონმდებლობის ცვლილებების პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს 2022 წლის პირველ თვეებში წარედგინება.



IDFI-მ შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო დანესებულებების უწყებრივი არქივების მუშაობაში გამოყენებული ნორმატიული აქტების შესრულების დინამიკა, მათი შენახვის ფორმატი და ეროვნულ არქივში გადაცემის ისტორია საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. ფართო კვლევამ ასევე გააანალიზა **ინსტიტუტების მიერ ელექტრონულად შექმნილი საარქივო მონაცემების პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც გამოქვეყნებულია მათი ვებგვერდების ან სოციალური მედიის პლატფორმების მეშვეობით. ამ სფეროებში IDFI-მ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.**

## მეხსიერების კვლევა

IDFI-მ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, გამოსცა [მესამე მემორიალური ალბომი](#), რომელიც მიეძღვნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, სამხედრო და განათლების მინისტრს, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს - გრიგოლ ლორთქიფანიძეს (1881-1937).



IDFI-მ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვებგვერდის - [www.historyproject.ge](http://www.historyproject.ge) პრეზენტაცია გამართა. ვებგვერდზე განთავსებულია სტატიები, საარქივო და მეხსიერების კვლევა, ახალი ამბები, ისტორიული ფაქტები, ვიქტორინები, წიგნები, ფოტო-ვიდეო გალერეა და საარქივო დოკუმენტების მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. მისი მიზანია საზოგადოების მეტი ინფორმირება საბჭოთა წარსულისა და უახლესი ისტორიის შესახებ.



2021 წელს IDFI-მ შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა ფართომასშტაბიანი კვლევა, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციამ შეისწავლა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე კომუნისტური, ტოტალიტარული სახელდების საცხოვრებელი ფართები, ქუჩები, სკვერები და სხვა ტოპონიმები. [კვლევა მიზნად](#) ისახავდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გათვალისწინებული საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლოებისა და სახელების შესახებ დისკუსიის გაღრმავებას.



2021 წლის ოქტომბერში IDFI-მ ძირითადი აქტივობები განახორციელა წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია-პანსიონში, International Coalition of Sites of Conscience-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - [„ინტერ-რელიგიური ურთიერთგაგება გრაფიკული ხელოვნების საშუალებით“](#) - ფარგლებში. პროექტის მიზანი იყო, რეპრესიის მსხვერპლთა ისტორიების შესახებ კომიქსების შექმნითა და გავრცელებით ახალი ცოდნის გაჩენა წარსული რეჟიმისა და რეპრესირებულ პირთა შესახებ, რაც ასევე კიდევ უფრო გაზრდიდა თანაგრძნობას მსხვერპლთა მიმართ. საბოლოო ჯამში, გიმნაზია-პანსიონის აღსაზრდელებმა აღნიშნული პროექტის ფარგლებში შექმნეს 5 ორიგინალური კომიქსი საბჭოთა რეჟიმის პერიოდში რეპრესირებული ადამიანების შესახებ, რის მიხედვითაც 2022 წელს კრებული გამოიცემა.





2021 წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის გამოფენები („საბჭოთა კავშირში რეპრესირებული ქალები“, გამოფენა - ხმა ქართველი ქალისა, საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი), დისკუსიები (“ვებინარი - ქართველები და მეორე მსოფლიო ომი: სამამულო ტრაგედია და საბჭოთა ტრიუმფი”) და (“ესეების კონკურსი სტუდენტებისთვის თემაზე „საბჭოთა ოკუპაცია საქართველოს მეხსიერებაში“).

2021 წლის ოქტომბერში, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის (IPN) წარმომადგენლები, არქეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ტომაშ ბორკოვსკი (Tomasz Borkowski) და არქეოლოგი, კრიშტოფ მიკოლაიჩიკი (Krzysztof Mikolajczyk) ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მეუფის, დიმიტრის, მოწვევით ვიზიტით იმყოფებოდნენ ბათუმში, სადაც ადგილზე გაეცნენ 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა სამარხებს. პოლონელი სპეციალისტების ვიზიტს ორგანიზება გაუწია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI).



2022 წლის დასაწყისისთვის დაიგეგმა უკვე აღმოჩენილი №6 სამარხის საფუძვლიანი შესწავლა. გეგმებში ასევე შედის მომავალ ზამთრამდე ნეშტების სწრაფი დაკრძალვა, ტერიტორიის სრული დამუშავება და დარჩენილი მასობრივი საფლავების აღმოჩენა, რათა შემდგომ დაიგეგმოს ფართომასშტაბიანი სამახსოვრო ღონისძიებები ადგილზე. 2022 წელს ასევე იგეგმება ნეშტების ანთროპოლოგიური კვლევა.

## დეზინფორმაციის კვლევები

2021 წელს IDFI-მ გააგრძელა აქტიური მუშაობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევისა და ანალიზის მიმართულებით. დეზინფორმაციის შესახებ სტატიები, ბლოგები, ინფოგრაფიკა და ვიდეოები გამოქვეყნდა IDFI-ის ვებგვერდზე და ორგანიზაციის მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ვებგვერდზე [www.damoukidebloba.ge](http://www.damoukidebloba.ge).



კოლექტიურ მეხსიერებასა და დეზინფორმაციას შორის კავშირის გაანალიზების კონტექსტში გამოქვეყნდა ანალიტიკური პოსტები [რუსული დეზინფორმაციისა](#) და [თანამედროვე რეპრესიების](#) შესახებ. დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად არაერთი [დისკუსია](#) და [საერთაშორისო კონფერენცია](#) გაიმართა.

საინფორმაციო მანიპულირების შესახებ ანგარიში სათაურით “ონლაინ ინფორმაციული მანიპულირება: გამოცდილება, გამოწვევები და საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები” და ანალიტიკური ბლოგი - “ონლაინ ინფორმაციის მანიპულირების ეფექტები: ვინ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საჭირო მექანიზმები” გამოქვეყნდა.

## ინფორმაციის სანდოობის კოალიცია

2021 წლის სექტემბერში სამოქალაქო საზოგადოებამ და მედია ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბეს ინფორმაციის სანდოობის კოალიცია, რომლის თანადამფუძნებელი წევრი IDFI გახდა.

კოალიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

- დეზინფორმაციის წყაროების, აქტორებისა და გზავნილების რეგულარული მონიტორინგი, კვლევა და საპასუხო ქმედებების განხორციელება;
- კვლევისა და ადვოკატირების გზით სახელმწიფო პოლიტიკისა და საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება;
- საზოგადოებაში მედიაწინგინერების დონის ზრდის ხელშეწყობა და საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ გაარჩიონ ფაქტები დეზინფორმაციისგან;



კოალიციის ფარგლებში IDFI-მ მონაწილეობა მიიღო არაერთ ერთობლივ ღონისძიებასა და პროექტში.

კოალიციაში განვვიხილავთ ფარგლებში ახალი პროექტის, [რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში](#) განხორციელება დაიწყო. პროექტის მიზანია რუსული საინფორმაციო გავლენის გამოვლენა ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის გამოკვლევით და მისი გავლენის ანალიზით პოლიტიკურ, მედია და სამოქალაქო სექტორზე.

## საგანმანათლებლო და სასარტიფიკატო პროგრამა: “დებინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები”, საქართველოს უნივერსიტეტთან ერთად.



2021 წლის 10 ივნისს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა (IDFI) და საქართველოს უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის [მემორანდუმი](#) გაფორმდა.

მემორანდუმის საფუძველზე მხარეთა შორის პარტნიორული ურთიერთობა ჩამოყალიბდა, მხარეებმა დებინფორმაციასა და პროპაგანდასთან ბრძოლის შესახებ ერთობლივ აკადემიური

კურსები შეიმუშავეს და ისინი შესთავაზეს საქართველოს უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტებს, ასევე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

## დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა:

**ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები**

**შემოდგომის სემესტრი, 2021 წელი**

**სტრატეგიული აზროვნება**

📅 ორშაბათი, 19:00



**დავით ნარაძია**  
ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე

**უახლესი ისტორიის არქივები მაღიისთვის**

📅 ოთხშაბათი, 19:00



**ანტონ ვაშარაძე**  
IDFI-ს საარქივო, მეხსიერების კვლევისა და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელი

**დეზინფორმაციის იდენტიფიცირება და კვლევა**

📅 ხუთშაბათი, 19:00



**სოფო გელავა**  
ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიების კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი, Zinc Network-ის „საქართველოს ინფორმაციის სანდოობის პროგრამის“ ტექნიკური ინფორმაციისა და მონაცემების სპეციალისტი




შვედეთი  
Sverige



IDFI

პროგრამაში მონაწილეობის სურვილი სულ 78-მა აპლიკანტმა გამოთქვა: [“დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები”](#). საბოლოოდ, საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და მედიის სკოლის სტუდენტებთან ერთად პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 17 მონაწილე შეირჩა. მონაწილეები წარმოადგენდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტს, რეგიონულ მედიასაშუალებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასა და საჯარო დაწესებულებას.

სემესტრის განმავლობაში ასევე მოეწყო სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ IDFI-ის პარტნიორი ორგანიზაციის Transitions Online (TOL) ტრენერები: [“რა არის დეზინფორმაცია და როგორ გავუმკლავდე მას?”](#) ლექტორები: ნინო გობალიშვილი; რევაზ თოფურია; სოფო გელავა; იაროსლავ ვალუჰი.





## IDFI-ს დონორი ორგანიზაციები

- ევროკავშირი
- შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)
- ღია საზოგადოების ფონდი (OSF)
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- INTERNATIONAL COALITION OF SITES OF CONSCIENCE
- აზიის განვითარების ბანკი
- შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის (BST)
- COUNTERPART INTERNATIONAL
- LUMINATE
- ინტერნიუსი
- არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი (ICNL)
- ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- ლათინური ამერიკის ღია მონაცემების ინიციატივა (ILDA)
- გაეროს მოსახლეობის ფონდი
- საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
- ევროპის საბჭო
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი /კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG)
- DELOITTE CONSULTING



## 2021 წელს დაწყებული პროექტები

### DRIVE: ციფრულად მოწყვლადი მოქალაქეების საჭიროებების კვლევა უკრაინასა და საქართველოში

**ღონორი ორგანიზაცია:** *LUMINATE - E-GOVERNANCE ACADEMY*

პროექტ DRIVE-ის მიზანია უკრაინასა და საქართველოში მოწყვლად მოქალაქეთა ჯგუფებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, საჭირო პირობების შექმნით, ცნობიერების ამაღლებით და უნარ-ჩვევების განვითარებით, რათა მათ შეძლონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ციფრულად ჩართვა და ჰქონდეთ სერვისებზე ციფრული წვდომა.

### კვლევისა და საჯარო ღონისძიებების მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოს განათლების სისტემაში, COVID-19 პანდემიის განმავლობაში

**ღონორი ორგანიზაცია:** *ღია საზოგადოების ფონდი (OSF)*

პროექტის მიზანია საზოგადოების დაუცველი ჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების ადვოკატირება საქართველოს განათლების სისტემაში საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

### საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების კვლევა - საქართველოს გამონწვევები და საუკეთესო პრაქტიკა

**ღონორი ორგანიზაცია:** *UNDP*

პროექტის ამოცანაა საქართველოს მთავარი გამონწვევების იდენტიფიცირება საჯარო სამსახურის კეთილსინდისიერებისა და მამხილებლების დაცვის კუთხით. გამონწვევები და საუკეთესო პრაქტიკა.

### 2030 წლის წესრიგის ლოკალიზება საქართველოში

**ღონორი ორგანიზაცია:** *გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)*

პროექტის მიზანია საქართველოში SDG ლოკალიზების ადგილობრივ კონტექსტზე, ნაკლოვანებებსა და რეკომენდაციებზე ყოვლისმომცველი ანალიზი

## მონაცემების გლობალური ბარომეტრი

**დონორი ორგანიზაცია:** *დათინური ამერიკის ღია მონაცემების ინიციატივა (ILDA)*

პროექტის მიზანია გააღრმავოს და გააძლიეროს მხარეებს შორის პარტნიორობა მონაცემების ღია ბარომეტრის პირველი გამოცემისთვის კვლევის დიზაინის, განხორციელებისა და უფრო კონკრეტულად, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალურ აზიაში მონაცემების შეგროვების ფაზის ეფექტური მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

## საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით

**დონორი ორგანიზაცია:** *DELOITTE CONSULTING / USAID*

პროექტის მიზანია საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების პრაქტიკის გაგრძელება, მოცემული მექანიზმის განვრცობა რეგიონებში და დიალოგის შესახებ ცნობიერების ამაღლება დაინტერესებულ მხარეებს, ისევე როგორც ფართო საზოგადოებაში.

## მდგრადი ადამიანური რესურსების განვითარება კორუფციასთან საბრძოლველად

**დონორი ორგანიზაცია:** *ღია საზოგადოების მხარდაჭერის ფონდი*

პროექტის მიზანია შექმნას კორუფციასთან მებრძოლთა საზოგადოება, რომლებიც იქნებიან ლიდერები კორუფციის პრევენციის მიმართულებით.

## ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის ანალიზი - პირველი ეტაპი

**დონორი ორგანიზაცია:** *GEORGIAN INFORMATION INTEGRITY PROGRAM(GIIP) / USAID*

პროექტის მიზანია ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის გამოძიება და მისი პოლიტიკური, მედია და სამოქალაქო სექტორებზე გავლენების ასახვა.

## ინტერ-რელიგიური ურთიერთგაგება გრაფიკული ხელოვნების საშუალებით

**დონორი ორგანიზაცია:** *INTERNATIONAL COALITION OF SITES OF CONSCIENCE*

პროექტის მიზანია აჭარაში აღმოჩენილი მასობრივი სამარხების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

## **პირადი ცხოვრების ონლაინ სივრცეში დაცულობა საქართველოში**

**დონორი ორგანიზაცია:** *ინგერნიუსი და აპერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო*

პროექტის მიზანია საქართველოში ციფრული თავისუფლებებისა და კონფიდენციალობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი ადვოკატირების კამპანიების დანერგვა.

## **სასწავლო ვიზიტი თბილისში**

**დონორი ორგანიზაცია:** *ეპრაზის ფონდის წარმომადგენლობა*

პროექტის მიზანია სასწავლო ვიზიტის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საქართველოს გამოცდილებას, კერძოდ, ღიაობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით, განსაკუთრებით ღია ბიუჯეტირებასა და საჯარო ფინანსების გამჭვირვალედ მართვასთან დაკავშირებით.

## **საქართველოში გამჭვირვალობის და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ სახელმძღვანელოს განახლება საკონსულტაციო მომსახურების განვითარება**

**დონორი ორგანიზაცია:** *ეპროკის საბჭო*

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში გამჭვირვალობის და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ სახელმძღვანელოს განახლება.

## **ახმეტისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მერიებისთვის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

**დონორი ორგანიზაცია:** *USAID-ის კარგი მმართველობის ინიციატივა საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია გააძლიეროს ახმეტისა და ცაგერის მერიების შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

## **ამბროლაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიებისთვის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

**დონორი ორგანიზაცია:** *USAID-ის კარგი მმართველობის ინიციატივა საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია გააძლიეროს ამბროლაურისა და ლანჩხუთის მერიების შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.



## მონიტორინგის, ანალიზისა და ადვოკატირების გზით ციფრული უფლებების გაძლიერება

**ღონორი ორგანიზაცია:** *შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის (BST)*

პროექტის ზოგადი მიზანია მონიტორინგის, ანალიზისა და ადვოკატირების გზით, საქართველოში ციფრული უფლებების გარანტიების უზრუნველყოფა და გაძლიერება.

## ადამიანის უფლებები ყველასთვის – II ფაზა

**ღონორი ორგანიზაცია:** *გაეროს განვითარების პროგრამა*

პროექტის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და ხარვეზების დოკუმენტირების გზით პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობა საქართველოში.

## სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერა ციფრულ არქივირებაში

**ღონორი ორგანიზაცია:** *INTERNATIONAL COALITION OF SITES OF CONSCIENCE*

პროექტის მიზანია შემუსავდეს სახელმძღვანელო, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ციფრულ არქივირებაში, გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესის მიმდინარეობისას.

## CSO METER: ხელსაყრელი გარემოსა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეზობრი (ENI/2021/423-451)

**ღონორი ორგანიზაცია:** *ევროკავშირი (EU); სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი*

პროექტის მიზანია პროექტის ფარგლებში დაფუძნებული რეგიონალური ჰაბის წევრობა და კომპეტენციის ფარგლებში CSO Meter-ის ანგარიშის განახლება.



## 2021 წლის ფინანსური ანგარიში



**3,849,236 ლ**

შემოსავალი  
გრანტებიდან



**151,982 ლ**

სხვა საოპერაციო  
შემოსავალი



**8,000 ლ**

შემონიშნულია

**4,009,218 ლ**

სულ შემოსავალი

ხელფასები საშემოსავლო და საპენსიო გადასახადების გამოკლებით	1,115,492 ლ
საშემოსავლო გადასახადი ხელფასებზე	278,873 ლ
საპენსიო გადასახადი (2%) გადახდილი ხელფასებზე	28,456 ლ
მომსახურების ანაზღაურება	510,145 ლ
ქვეგრანტები, გრანტები და საპარტნიორო ერთობლივი პროექტები	492,136 ლ
კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები (თარჯიმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ექსპერტების ჰონორარი)	460,510 ლ
ღონისძიებები (კონფერენციები, პრეზენტაციები, სემინარები, ტრენინგები)	370,309 ლ
რეკლამა და პიარი (დიზაინი, ვიდეო, ბუქდვა, გამოცემა, ჟილდოები, მარკეტინგი)	275,554 ლ

ცვეთა და ამორტიზაცია	81,180 ₾
საპენსიო გადასახადი	47,755 ₾
ვებ-გვერდის განვითარების ხარჯები	44,648 ₾
თანამშრომლების დაზღვევა	43,217 ₾
ფინანსური, საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება	26,834 ₾
სხვა საოფისე ხარჯები და ინვენტარი	17,317 ₾
სხვა ხარჯები	14,528 ₾
კომუნალური ხარჯი	10,974 ₾
კომუნიკაციის ხარჯი	10,714 ₾
საპროცენტო ხარჯი	8,658 ₾
ტრანსპორტირება (ადგილობრივი მივლინება, სანავიგაციო, სასტუმრო)	6,256 ₾
საბანკო ხარჯები	5,344 ₾
საფოსტო ხარჯები	4,296 ₾
სატრანსპორტო საშუალების ტექნომომსახურება და დაზღვევა	3,002 ₾
მოგზაურობა (საერთაშორისო მივლინება, დღიური ნორმა)	2,246 ₾
საკანცელარიო ხარჯები	2,063 ₾
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>3,860,507 ₾</b>

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ( IDFI)



ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;



+995 32 2 92 15 14



Info@idfi.ge



www.idfi.ge